გაზეთი ბევრის, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№107 (863) 16 – 17 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**



## დავით კეზერაშვილი 18 ოქტომბრამდე საფრანგეთის ციხეში რჩება!

### მოხდება თუ არა თავდაცვის ექსმინისტრის საქართველოში ექსტრადიცია და რა ფაქტები დაემატება წარდგენილ ბრალდებას?!

კეზერაშვილი საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში დააკავეს, თუმცა ამის შესახებ საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ საქართველოს ელჩი საფრანგეთში. მოხდება თუ არა მაღალჩინოსნის ექსტრადიცია, ნაკლებსავარაუდოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დავით კეზერაშვილი ისრაელის მოქალაქეა და არ არსებობს პრეცედენტი, ამ ქვეყნის მოქალაქის ექსტრადიცია მომხდარიყო, მეორეც — მას საკმაოდ გავლენიანი მფარველები ჰყავს. ისინი, ვინც 1,6-მილიარდიანი იარაღის საქმე ჩაფარცხა, ასევე შეეცდება, თავდაცვის ექსმინისტრი ახალ ხელისუფლებას ხელში არ ჩაუგდოს. მით უმეტეს, ეჭვგარეშეა, რომ პრევენციის ზომები მას უკვე მიღებული ექნება. სხვათა შორის, „თბილისის განვითარების ფონდის" ყოფილი უფროსი გიორგი საბანაძე, რომელსაც სამართალდამცავები დიდი ოდენობის თანხის მითვისება-გაფლანგვას ედავებიან, იტალიის სასამართლომ გაათავისუფლა. ადვოკატების განმარტებით, გადაწყვეტილების მიზეზი ევროკავშირის ქვეყნებში მიღებული პოლიტიკური თავშესაფარია.



გვ.3

## სააკაშვილის მითითებით, ტალიავინის კომისია მოატყუეს?

თავდაცვის სამინისტროში შექმნილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისია დასკვნას ოქტომბრის ბოლოს გამოაქვეყნებს გვ.2



გვ.4

„ვერსიის" დოსიე

## კომპრომატები და მითები დავით ბაქრაძეზე

## ზურაბ ზვიადაური

„ამ კითხვას თავს დიდხანს ვარიდებდი, მაგრამ ახლა ჩემს პოზიციას ხმამაღლა ვაფიქსირებ!.."



გვ.6

## სამართალი

### ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანთან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძესთან

„დამოუკიდებელი და გამართული სასამართლო ძლიერი და განვითარებული ქვეყნის ბაზისია" გვ.7

## ალიევების დინასტიური დემოკრატია

ილჰამ ალიევის 5 მილიარდისა და 2 ათასი ფეშენებელური ვილის საიდუმლო

გვ.11

## გამჭვირვალობას მოაქვს ნდობა

გვ.5

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# სააკაშვილის მითითებით, ტალიავინის კომისია მოატყუეს?



## თავდაცვის სამინისტროში შექმნილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისია დასკვნას ოქტომბრის ბოლოს გამოაქვეყნებს

დავით დევიძე
593-219-042

**ოქტომბრის ბოლოსთვის მუშაობას დაასრულებს თავდაცვის სამინისტროში შექმნილი კომისია, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობას შეისწავლის. კომისია სხვადასხვა საჯარისო ქვედანაყოფების ოფიცრებისგან არის დაკომპლექტებული. ამ ჯგუფმა უკვე გამოკითხა ომის მონაწილე ოფიცერთა შემადგენლობა და მეორე ეტაპზე ყოფილი გენშტაბის წევრებისა და ყველა სხვა უმაღლესი ოფიცრის, მათ შორის მთავარსარდლის გამოკითხვას გეგმავს.**

მართალია, კომისიის მუშაობის დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმაო ხანია დარჩენილი, მონაცემებიც შეჯერებული არ არის და საბოლოო დასკვნებზე ნაადრევია საუბარი, მაგრამ,

**„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, რომელიც ასევე ამ კომისიის წევრია, გარკვეული კონტურები უკვე იკვეთება. თვალშისაცემია ის, რომ სამხედრო პირთა უმრავლესობა საუბრობს პანიკაზე, რომელმაც ომის დღეებში ქართული ჯარი მოიცვა. საყოველთაო პანიკის შესახებ ჩვენთვის ისედაც არის ცნობილი. მეორე მოსაზრება კი აშკარად უცნობია და სკანდალურად ჟღერს: გამოკითხული ოფიცრები ისეთ რაღაცებს ჰყვებიან, რაც საერთოდ ნახსენები და შეტანილი არ არის ტალიავინის ცნობილი კომისიის დასკვნაში.**

**ასევე იკვეთება სურათი, რომ ტალიავინი შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში და ეს მიხეილ სააკაშვილის დავალებით მოხდა, რათა პოლიტიკური პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან, — აცხადებს ჩვენი წყარო.**

ეს ჯერ კიდევ არ არის საბოლოო დასკვნა და მხოლოდ კომისიის რამდენიმე წევრის პირად ანალიზს ეყრდნობა, მაგრამ მათი წინასწარი ვარაუდით, ალბათობა იმისა, რომ საბოლოო დასკვნაც ასეთივე იქნება, ძალიან მაღალია. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს.

დაუკვირდით: კომისიის მუშაობის დასრულება ანუ დასკვნების გამოქვეყნება არჩევნების დასრულებას ემთხვევა ანუ პერიოდს, როცა სააკაშვილი ამთავრებს საპრეზიდენტო მოღვაწეობას. მართალია, იგი წინასწარ იმყარებს იმუნიტეტს და აცხადებს, რომ ერთხელ პრეზიდენტი ყოველთვის პრეზიდენტია, მაგრამ ამავე ლოგიკით, ერთხელ ლაჩარიც ყოველთვის ლაჩარია. ჰოდა, თუ დამტკიცდა, რომ მთავარსარდლობამ პანიკას ვერაფერი მოუხერხა და შიშის გამო მიატოვა ბრძოლის ველი, ამისთვის მას სერიოზულ პასუხს მოსთხოვენ, რადგან როგორი მიზეზიც არ უნდა არსებობდეს, ბრძოლის დროს საომარი ველის მიტოვება, არც მეტი არც ნაკლები, სამშობლოს ღალატია, ხოლო თუ მეორე ეჭვიც — ტალიავინის მოტყუება დადასტურდა, მაშინ უკვე მთლად ცუდად აქვთ საქმე ამ კომისიის დასკვნის გარეშეც ლაჩრებს, რადგან საერთაშორისო პოლიტიკური წრეების შეცდომაში შეყვანას მიხეილ სააკაშვილს უკვე მისი ყოფილი მეგობრებიც კი აღარ აპატიებენ. ამ ყველაფერს კოჰაბიტაციის დასრულებაც დავუმატოთ და... მოკლედ, ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისისთვის საინტერესო მოვლენები გველის.

## რუსთავში, 7 წლის ბავშვი წყლით სავსე ორმოში, გარდაცვლილი იპოვეს

რუსთავში მოხდა ტრაგიკული ფაქტი. დაიღუპა 7 წლის ბავშვი — ბექა ქამუშაძე, რომელიც 2013 წლის 14 ოქტომბერს ე.წ. ინტერნატის დასახლების მიმდებარედ — მინდორში, „რუსთავის წყლის“ კუთვნილ ობიექტზე გარდაცვლილი იპოვეს. ბავშვის დაღუპვის მიზეზი ამ ეტაპზე გაურკვეველია.

რუსთავში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით კომპანია „რუსთავის წყალი“ სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და მწუხარებას გამოხატავს რუსთავში მომხდარი ტრაგედიის გამო.

**„მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, აღნიშნულ ადგილას დაფიქსირდა ავარია, რის გამოც კომპანია „რუსთავის წყალი“, იმავე დღიდან, ადგილზე აწარმოებდა სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სწორედ ამ მიზეზით, ობიექტი ჯერ კიდევ არ იყო მიწით დაფარული, რადგან მაგისტრალური მილსადენი, რომელიც წარმოადგენდა რთულ კვანძს, დამატებით საჭიროებდა შემოწმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიის ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორია გარშემორტყმული იყო სპეციალური უსაფრთხოების ლენტით.**

**„რუსთავის წყლის“ ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია. კომპანია მზადაა, ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოებთან და ძიების პროცესში აღმოუჩინოს სათანადო დახმარება“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ორმო გოგოლის ქუჩაზე, კომპანია „რუსთავის წყალმა“ 8 თვის წინ დაზიანებული მილის შეკეთების მიზნით ამოთხარა და მიატოვა. თხრილი წყლით იყო სავსე და ზაფხულობით ბავშვები ბანაობდნენ.

გარდაცვლილი ბექა ქამუშაძე 14 ოქტომბერს, გვიან საღამოს, ძებნის შემდეგ წყლით სავსე თხრილში იპოვეს. ამასთან, გარდაცვლილის მამა ბესიკ ქამუშაძე უბედურ შემთხვევას გამორიცხავს და აცხადებს, რომ ბავშვი, სავარაუდოდ, მოკლულია. ბავშვის მამის განცხადებით, ბექას თავი აქვს, სავარაუდოდ, ქვაზე დარტყმული მაშინ, როცა თხრილში არც ერთი ქვა არ არის. ბესიკ ქამუშაძე საქმის დროულ და საფუძვლიან გამოძიებას ითხოვს.



## შსს თბილისსა და წალკაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეცოპერაციის შედეგად ყაჩაღური დაჯგუფების წევრების დაკავების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის მე-2 მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თბილისსა და წალკაში ერთდროულად ჩატარებული სპეციალური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დააკავეს ყაჩაღური დაჯგუფების სამი წევრი: 1983 წელს დაბადებული რამაზ გ, 1978 წელს დაბადებული დავით გ. და 1983 წელს დაბადებული რივერა ბ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2004 წლის 6 ოქტომბერს, ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში, ნოდარ გეწაძის ოჯახზე შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს. თავდასხმის დროს ოჯახის წევრებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს. თავდამსხმელებმა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სახლიდან დიდი ოდენობით ოქრო და ფული გაიტაცეს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი“*

## ვერსიანიუსი




## ნინო ბურჯანაძის პარტიამ მიმდინარე თვეში 400 ათასი ლარის შემოწირულობა მიიღო

ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, მიმდინარე თვეში ყველაზე მეტი შემოწირულება ნინო ბურჯანაძის დემოკრატიულმა მოძრაობამ მიიღო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა განუცხადა, გასული 2 კვირის განმავლობაში, აღნიშნული პოლიტიკური ძალის ანგარიშზე შესული შემოწირულობის რაოდენობამ 400 ათას ლარს გადააჭარბა.

ამასთან, მისივე განმარტებით, დემოკრატიული მოძრაობის ყველაზე მსხვილი შემომწირველი თავად ბურჯანაძეა. **„ნინო ბურჯანაძემ 60 ათასი ლარი შესწირა საკუთარ პარტიას“,** — აღნიშნა აზნაურაშვილმა.

გარდა ამისა, ოფიციალური ინფორმაციით, გასული 2 კვირის განმავლობაში, დემოკრატიულმა მოძრაობამ ავტომანქანებისა და ოფისების სახით არაფულადი შემოწირულობაც მიიღო, რომლის საერთო ღირებულება 16 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ არაფულად შემოწირულობას შორის ირიცხება ნინო ბურჯანაძის ვაჟის, ანზორ ბიწაძის კუთვნილი ავტომანქანა „ტოიოტა ლანდკრუიზერი“, რომლით სარგებლობაც პარტიას საარჩევნო პერიოდის დამთავრებამდე შეეძლება.

საერთო ჯამში, დემოკრატიულ მოძრაობას ოქტომბერში 401 984 ლარის შემოწირულობა აქვს მიღებული.

*„ინტერპრესნიუსი“*

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# დავით კეზერაშვილი 18 ოქტომბრამდე საფრანგეთის ციხეში რჩება!




**საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში დააკავეს. დავით კეზერაშვილს ბრალად სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღება, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრება და უკანონო შემოსავლის მიღება ედება.**

მოგვიანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დავით კეზერაშვილის დაკავების შესახებ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რასაც „ვერსია" უცვლელად გთავაზობთ:

**„მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს, პარიზისა და თბილისის ინტერპოლის ბიუროების თანამშრომლობის შედეგად, საფრანგეთში, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი, 1978 წელს დაბადებული, დავით შოთას ძე კეზერაშვილი დააკავეს.**

**დავით კეზერაშვილს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, 214-ე მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებით, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით და 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რაც გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქრთამის აღებას, ორგანიზებული ჯგუფის მიერ საბაჟო წესების დარღვევას, რამაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ზარალი გამოიწვია, ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ფულის გათეთრებასა და უკანონო შემოსავლის მიღებას, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დიდი რაოდენობით თანხის მითვისება/გაფლანგვას.**

**დავით კეზერაშვილს ჯერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის უფროსის, ხოლო შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობა ეკავა, რასაც აღნიშნული დანაშაულების ჩადენის მიზნით, ბოროტად იყენებდა. ამჟამად საფრანგეთის პროკურატურის მიერ, დავით კეზერაშვილის მიმართ, კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს".**

„ვერსიაში" უკვე ვწერდით, რომ 2013 წლის 30 იანვარს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ყოფილი მაღალჩინოსანი დავით კეზერაშვილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების გამო, ბრალდებულად სცნო. გამოძიების მასალებიდან გაირკვა, რომ კეზერაშვილმა, დანაშაულებრივი ჯგუფის დახმარებით, საქართველოში უკანონოდ შემოიტანა 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, ხოლო გადასახადების დამალვის გამო, სახელმწიფო ბიუჯეტი 49 392 341 ლარით დააზარალა. მართალია, სამართალდამცავებმა თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ბრალდებულად სცნეს და მისი დაკავების ბრძანებაც გასცეს, მაგრამ პროცესი გაჭიანურდა. შეგახსენებთ, თავდაცვის ექსმინისტრი ისრაელის მოქალაქეა და მას იქაური კანონმდებლობა იცავს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, დავით კეზერაშვილმა, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, თანხმობა განუცხადა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს — ნიკოლოზ დავითაშვილსა და იოსებ იმნაძეს, რათა სამსახურეობრივი მდგომარეობა გამოეყენებინა და მფარველობა გაეწია აღნიშნული პირების უკანონო საქმიანობისთვის. კერძოდ, დავითაშვილმა და იმნაძემ განიზრახეს, რომ დადგენილი ტექნოლოგიების უხეში დარღვევით, ანუ ყურძნის მასალასთან ეთილის ან სხვა სახის სპირტის შერევითა და ტექნოლოგიური მანიპულაციებით, ფალსიფიცირებული საკონიაკე სპირტი ეწარმოებინათ. ეთილის სპირტისგან, კონიაკის სპირტის მსგავსი სითხის დამზადებით, კონიაკისებრი სპირტის თვითღირებულება მცირდება, სამაგიეროდ, მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება.

გამოძიებით დადგინდა, რომ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, აღნიშნულმა პირებმა დაარეგისტრირეს შპს „განთიადი" და შპს „ნაფარეული". სახელმწიფო გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, დანაშაულებრივი სქემა შეადგინეს, თუ როგორ უნდა შემოსულიყო ეთილის სპირტი შიდა ბაზარზე ისე, რომ არ მოქცეულიყო იმპორტის დაბეგვრის რეჟიმში. აღნიშნულ პირებს, ამ საქმიანობაში სახელმწიფო სტრუქტურათა მაღალჩინოსნების მხარდაჭერა სჭირდებოდათ, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მფარველობას გაუწევდნენ. ისინი დაუკავშირდნენ ფინანსური პოლიციის იმჟამინდელი უფროსის დავით კეზერაშვილის დის ქმარს, მეირი ჯანაშვილს, გაანდეს დანაშაულებრივი გეგმა და სთხოვეს შუამდგომლობა დავით კეზერაშვილთან. მეირი ჯანაშვილი მოელაპარაკა დავით კეზერაშვილს, რომ მას სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ხელი შეეწყო უკანონო საქმიანობისთვის.

იმის ნაცვლად, რომ დანაშაულებრივი სქემის აღსაკვეთად, დავით კეზერაშვილს ზომები მიეღო, რადგან იმ პერიოდში ფინანსური პოლიციის უფროსის მოვალეობას ასრულებდა, უკანონო ბიზნესის მფარველობასა და ქრთამის აღებას დათანხმდა. კეზერაშვილი იღებდა ვალდებულებას, რომ საკუთარი ავტორიტეტით საბაჟო, საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებზე გავლენა მოეხდინა. თანხმობის მიღების შემდეგ, იმნაძემ და დავითაშვილმა უკრაინული სპირტის საწარმოს 480 ტონა ეთილის სპირტი შეუკვეთეს და საქმიანობა დაიწყეს.

საერთო ჯამში, დავით კეზერაშვილს, როგორც მოხელეს, ქრთამის სახით 4 669 978 აშშ დოლარი, ხოლო როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს, ანუ კერძო პირს 7 664 705 აშშ დოლარი აქვს მიღებული. აღნიშნულ თანხებს კეზერაშვილი შუამავლის, მისი დის მეუღლისა და იმავდროულად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის, მეირი ჯანაშვილის საშუალებით იღებდა. ამ წლების განმავლობაში, დანაშაულებრივი მანიპულაციებით, საქართველოში შემოიტანეს 19 868 312 ლიტრი ეთილის სპირტი, გადასახადების დამალვის სახით კი სახელმწიფომ 49 392 341 ლარი იზარალა. თავად კეზერაშვილმა, უკანონო შემოსავლის სახით, 12 334 683 აშშ დოლარი მიიღო.

დაახლოებით, სამი წლის წინ, „ვერსიამ" დეტალურად გააშუქა სქემა, რომლითაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე კომპანია „გალფი" შემოვიდა. ამჟამად საქართველოს მთავარ პროკურატურაში უკვე შეტანილი აქვთ სარჩელები „სენტას" დამფუძნებელ ზაალ იაკობიძესა და „მაგნატის" დამფუძნებელ ჯემალ ლეონიძეს, რომლებიც „გალფის" წარმომადგენლებს საკუთარი კომპანიების უკანონოდ მითვისების გამო უჩივიან. „ვერსიაში" იმასაც ვწერდით, რომ ტრანზიტული ტვირთების კორუფციულ სქემაში დავით კეზერაშვილიც მონაწილეობდა. დავით კეზერაშვილი ფლობდა „საქართველოს ლატარიის" კომპანიასაც. შეგახსენებთ, ოთხი წლის წინ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, წამახალისებელი პრიზებისა და ლატარიების გათამაშების უფლებაზე გამოცხადებულ ტენდერში კეზერაშვილის „საქართველოს ლატარიამ" გაიმარჯვა და შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის გათამაშებებიც აიკრძალა. დავით კეზერაშვილის სახელს უკავშირდება ყბადაღებული „პიქსელის" შენობა ჭავჭავაძის გამზირზე და ასევე სკანდალი თავდაცვის სამინისტროში, რომელიც 2008-2009 წლებში დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვას ეხება. სხვათა შორის, 2009 წელს საქართველოში ჩამოსულები იყვნენ ამერიკელი ექსპერტები, რომლებიც იარაღის შესყიდვის საკითხით დაინტერესდნენ. „ვერსია" ამის შესახებ დეტალურად წერდა. საუბარი იყო გერმანელ შუამავალზე და მისი საშუალებით მილიონობით თანხის გათეთრებაზე სწორედ ქართული ჯარისთვის საჭირო იარაღით. სხვათა შორის ეს საკითხი „გურიანიუსმა" გაააქტიურა და საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს ჰკითხა, რატომ არ არის კეზერაშვილის საქმეში 2008 წელს ამერიკელების მიერ თავდაცვის სამინისტროსთვის გადმორიცხული მილიარდ ექვსასი ათასი დოლარი. კბილაშვილის განმარტებით, **„კეზერაშვილის საქმე, რომელიც გარეთ გამოვიდა და გასაჯაროვდა, არ ეხება თავდაცვის სამინისტროში მისი მინისტრობის პერიოდს. ეს ცალკე თემაა და მიმდინარეობს გამოძიება თავდაცვის სამინისტროში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმების კუთხით. აღებული გვაქვს 2004 -2012 წლების პერიოდი. ძალიან დიდი მოცულობის საქმეა და რევიზორები გამალებით მუშაობენ. უამრავი ეპიზოდია, რომელიც ყურადღებას იმსახურებს და მიმდინარეობს მათი დამუშავება და შესწავლა".**

ასეა თუ ისე, კეზერაშვილი საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში დააკავეს, თუმცა ამის შესახებ საქმის კურსში არ ჩაუყენებიათ საქართველოს ელჩი საფრანგეთში. მოხდება თუ არა მაღალჩინოსნის ექსტრადიცია, ნაკლებსავარაუდოა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დავით კეზერაშვილი ისრაელის მოქალაქეა და არ არსებობს პრეცედენტი, ამ ქვეყნის მოქალაქის ექსტრადიცია მომხდარიყო, მეორეც — მას საკმაოდ გავლენიანი მფარველები ჰყავს. ისინი, ვინც 1,6-მილიარდიანი იარაღის საქმე ჩაფარცხა, ასევე შეეცდება თავდაცვის ექსმინისტრი ახალ ხელისუფლებას ხელში არ ჩაუგდოს. მით უმეტეს, ეჭვგარეშეა, რომ პრევენციის ზომები მას უკვე მიღებული ექნება. სხვათა შორის, „თბილისის განვითარების ფონდის" ყოფილი უფროსი გიორგი საბანაძე, რომელსაც სამართალდამცავები დიდი ოდენობის თანხის მითვისება-გაფლანგვას ედავებიან, იტალიის სასამართლომ გაათავისუფლა. ადვოკატების განმარტებით, გადაწყვეტილების მიზეზი ევროკავშირის ქვეყნებში მიღებული პოლიტიკური თავშესაფარია.

დავით კეზერაშვილი 18 ოქტომბრამდე საფრანგეთის საპატიმროში რჩება და სწორედ პარასკევს გაირკვევა, რა ბედი ეწევა საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრს.



რეზო შატაკიშვილი

# კომპრომატები და მითები დავით ბაქრაძეზე









დავით ბაქრაძე. პრეზიდენტობის კანდიდატი. კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის მიერ შეყვანილია მსოფლიოს 2 ათას ინტელექტუალში. მისი ყველაზე დიდი კომპრომატიც ალბათ ესაა – საქართველოში ინტელექტის ქონაზე დიდი კომპრომატი გაგონილა? როგორც „ხანუმაში“ იტყვიან – ჭკუას ჩვენს ქალაქში ვინ შემოუშვებს – კანტრაბანდაა!!!

ქართული ელექტორატი რომ არც ბაქრაძეებს სწყალობს და არც ინტელექტუალებს, ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა პირველმა ბაქრაძემ – აკაკიმ იყარა კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში – 1995 წელს. ვნახოთ, რა გამოჩნდება ამ არჩევნებზე.

მორიგი კომპრომატი რაც მას უპოვეს, ტელეფონზე ლაპარაკს უკავშირდება, ვინმეს მოსმენას ან იმას კი არა, რომ პირიქით, მას მოუსმინეს და რამე სკანდალურს ლაპარაკობდა, უბრალოდ, იმას, რომ ბევრი დაუხარჯავს როუმინგით ლაპარაკში. მეტ კომპრომატს რომ ვერ გიპოვიან, ეგეც კომპრომატია. კომპრომატების გარდა, დათო ბაქრაძეზე რამოდენიმე მითიც მოიპოვება თანამედროვე „მითოლოგიაში“.

რატომღაც დღემდე დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ იგი ბურჯანაძის კადრი იყო და პარლამენტში სწორედ ნინო ბურჯანაძის კვოტით მოხვდა. ამ მითის გაგრძელებაში კი დათო ბაქრაძე ღალატობს ნინო ბურჯანაძეს – არ მისდევს რა მას ოპოზიციაში. ეს მითი იმდენად ფეხმოკიდებულია, რომ ვგონებ, თავად ბურჯანაძემაც დაიჯერა, რომ დათო ბაქრაძე მისი კადრი იყო და ემდურის კიდეც ღალატისთვის.

როგორ და ვისი წყალობით აღმოჩნდა თავის დროზე საკანონმდებლო ორგანოში დავით ბაქრაძე?

**ვარდების რევოლუციის დროს, დავით ბაქრაძე უშიშროების საბჭოში მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობაზე. სწორედ მას დაევალა ტექსტის დაწერა პრეზიდენტ შევარდნაძისთვის, რომელი ტექსტითაც შევარდნაძეს ხალხისთვის უნდა მიემართა. შევარდნაძეს ხალხისთვის არ მიუმართავს, შესაბამისად არც ბაქრაძის დაწერილი „სპიჩი“ გამოუყენებია. შესაძლოა, მან ეს ტექსტი დაიწუნა კიდეც. სამაგიეროდ, მოგვიანებით, როცა ეს ტექსტი ზურაბ ჟვანიას ხელში მოხვდა, ჟვანიას მოეწონა. იმდენად, რომ ავტორი მოიკითხა და მისი გაცნობაც მოიწადინა. ასე აღმოჩნდა დავით ბაქრაძე ჟვანია-სააკაშვილის ორბიტაზე, შემდეგ სიაში და შემდეგ პარლამენტში.**

ეს უკვე ბურჯანაძის პრობლემაა, თუ მაშინ ჟვანიამ მას ისედაც შემცირებულ კვოტაში, კიდევ თავისი ან სააკაშვილის კადრი ჩაუსვა – გუგულივით – თავად ვერც მიხვდა და ბაქრაძე თავისი ეგონა. შესაბამისად, გაუგებარია ღალატის მოტივიც და რომც ბურჯანაძეს მოეყვანა პოლიტიკაში, უკაცრავად და, სადაც ბურჯანაძე წავიდოდა, ბაქრაძე თან უნდა გაჰყოლოდა?

საერთოდ, რა გზა გამოიარა დავით ბაქრაძემ?

მომავალი კარიერისთვის მზადება დიდი ხნის წინ დაიწყო. ჰქონდა პატარა „ტაბურეტკა“, არა, ელგებეტეებს ნამდვილად არ ურტყამდა იმ ტაბურეტს, პირიქით „ტაბურეტკას“ ურტყამდა ჩაქუჩს – 2 წლის დათო ბაქრაძე სპიკერობისთვის ემზადებოდა. სწავლობდა პირველ სკოლაში. სწორედ სკოლის წლებში მოხვდა პირველად ამერიკაში, ერთი თვით სასწავლებლად. მაშინ პირველად გაიყვანეს მოსწავლეები სსრკ-დან აშშ-ში, გაცვლითი პროგრამით. სწორედ ამერიკაში, ამერიკულ გაზეთს მისცა პირველი ინტერვიუ ბაქრაძემ.

სკოლის ფანჯრებიდან ხშირად ხტებოდა, რომ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიტინგებს დასწრებოდა. 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს შემთხვევით გადარჩა – მშობლებმა ღამის 2 საათზე, იძულების წესით, წაიყვანეს შინ. იმ ღამეს გადარჩა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მაინც მოიწამლა – ყვავილების გადატანაში მონაწილეობდა, მოწამვლამდე კი შავლენტგაკრული დადიოდა. ფიზიკოსების ოჯახში აღზრდილმა ბაქრაძემ პირველი სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, უგამოცდოდ ჩაირიცხა ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე. 25 წლისას უკვე დისერტაციაც ჰქონდა დაცული რადიოფიზიკაში. და გამოეთხოვა კიდეც ფიზიკას.

1995-96 წლებში „ჯიპაში“ სახელმწიფო მართვას ეუფლებოდა, როგორც საუკეთესო, წარჩინებულ სტუდენტს, პრიზიც კი აქვს მიღებული მაშინდელი პრეზიდენტისგან – შევარდნაძისგან. მაშინ „ჯიპას“ წარჩინებულ სტუდენტებს მისცეს შანსი, თავად აერჩიათ სად, რომელ უწყებაში იმუშავებდნენ. ბაქრაძემ საგარეო საქმეთა სამინისტრო აირჩია. ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, რომ ყველა საფეხური აქვს ავლილი ვერტიკალზე – პირდაპირ სამმართველოს უფროსის მოადგილედ დანიშნეს. სხვათა შორის, სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაშინ ერთ კაბინეტში ისხდნენ – დათო ბაქრაძე, ირაკლი ალასანია, ვიქტორ დოლიძე, ალექსი პეტრიაშვილი.

ბაქრაძის სწავლა-აღზრდა „გეპეითა“ და „ჯიპათი“ არ დასრულებულა. სწავლობდა იტალიაში – ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (ოფიცრებისა და დიპლომატების მაღალი დონის სასწავლო კურსი - 2001 წელს). 1998 წელს გერმანიაში გაიარა კურსი ევროპული უსაფრთხოების საკითხების კვლევის ჯორჯ მარშალის ცენტრში, 1997 წელს ჟენევაში – დიპლომატიური მომზადების სპეციალური კურსი. ტოკიოში - პოლიტიკურ სწავლებათა ინსტიტუტში საპარლამენტო მენეჯმენტის სპეცკურსი. ისრაელში, გალილეის კოლეჯში - ეროვნული უსაფრთხოების კურსი. კურსები აქვს გავლილი აშშ იუსტიციის დეპარტამენტში, ფედერალური ბიუროსა და თავდაცვის სამინისტროში, შვედეთის თავდაცვის კოლეჯში, ბუდაპეშტში, ჰააგაში და ა.შ.

არც კარიერა გაყინულა – 2 წელიწადში განიარაღებასა და შეიარაღებაზე კონტროლის სამმართველოს უფროსი გახდა, შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, 2002 წლიდან კარიერა უშიშროების საბჭოში გააგრძელა, ვარდების რევოლუციის შემდეგ უკვე პოლიტიკაში მოდის – პარლამენტარი ხდება, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, 2007 წელს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ინაცვლებს – იყო სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, სამი თვით – საგარეო საქმეთა მინისტრი. შემდეგ კვლავ პარლამენტი და იგი პარლამენტის თავჯდომარე ხდება. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება – მეორე და მყარად ფესვგადგმული მითი, რომ აგვისტოს ომის დროს, თითქოს ბაქრაძემ ხალხს მოუწოდა – დანებით და ჩანგლებით ებრძოლა მომხდური მტრის წინააღმდეგ. ბაქრაძე დაადანაშაულეს ისტერიის თესვაში და ინფანტილური განცხადების კეთებაში. მისი ეს განცხადება არ დაივიწყეს აგერ 5 წელიწადია. ამ განცხადებაზე და მის ინტერპრეტირებაზე რომ მხოლოდ უბირებს ან ჩასაფრებულებს ელაპარაკათ, კიდევ რა უჭირდათ, ბაქრაძის იმ 2-წუთიან გამოსვლას ლამის ყველა ფენაში გამოუჩნდა კრიტიკოსები.

**„როდესაც მიმდინარე წლის 11 აგვისტოს პარლამენტის თავმჯდომარემ მოსახლეობას რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა – „ვისაც რით შეუძლია“ – ეს განცხადება არა მხოლოდ უპასუხისმგებლობის, არამედ დროისა და ეპოქის არასწორი აღქმის ნიმუში იყო, რომლის ქვეტექსტიც პოლიტიკური აზროვნების ნაცვლად, ხალხური სიმღერიდან –„ქართველო ხელი ხმალს იკარ“ მოდიოდა“,** – წერდა გიორგი მაისურაძე. ეს ყველაზე კორექტული შეფასებაა, რაც კი წამიკითხავს ბაქრაძის იმ გამოსვლაზე. არადა, რა თქვა ისეთი, მაშინდელ ჩვენ ყურებს რომ ასე მოხვდა? მინდა გითხრათ, „ჩვენ ყურებს“ – ზრდილობის გულისთვის ვთქვი იმიტომ, რომ მაშინ ცხელ გულზეც სწორედ ისე მომესმა, როგორც ახლა, ხუთი წლის შემდეგ, როცა YouTube-ზე ვუყურე იმ გამოსვლას. გთავაზობთ იმ სკანდალური, 2-წუთიანი გამოსვლის სტენოგრამას:

**„მოგესალმებით, ძვირფასო თანამემამულენო, თქვენ უკვე იცით იმ ვითარების შესახებ, რომელიც შეიქმნა განვლილი ღამის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მხრიდან განხორციელებული ქმედებების შედეგად. მე მინდა გაცნობოთ კიდევ ერთი დამატებითი ინფორმაცია ჩვენს ხელთ არსებული, დადასტურებული და სარწმუნო მონაცემებით, უახლოესი საათების განმავლობაში რუსული სამხედრო ნაწილები გეგმავენ შეტევას ქალაქ ზუგდიდის მიმართულებით. სამწუხაროდ, სახეზეა საქართველოს სრულმასშტაბიანი სამხედრო ოკუპაციის და 1921 წლის განმეორების მცდელობა. ჩვენ, საქართველოს ხელისუფლება ამას არ დავუშვებთ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ ქართველ ხალხთან, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, ქვეყანაში ვითარება მთლიანად სტაბილურია და კონტროლდება, საქართველოს პრეზიდენტი პირადად ხელმძღვანელობს ქვეყნის თავდაცვას და დღეს, ქვეყნისთვის ამ ურთულეს ჟამს, როდესაც ქართული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, მე მინდა გადმოგცეთ საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება და მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მოწოდება, ყველა გაავერთიანდეთ, ყველგან, სადაც შემოვა მტრის ჯარი, ყველა არსებული საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობა, არ მივცეთ საქართველოს ოკუპაციის და 1921 წლის განმეორების საშუალება. ჩვენი ძალა ერთობაშია, ერთად დავიცავთ ჩვენს სამშობლოს. საქართველო ყველაფერს აკეთებს ამისთვის, ამიტომ მე მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ, მე მოგიწოდებთ სიმტკიცისკენ, ყველაფერი კარგად იქნება, მთავარია, ვიყოთ ერთად და მთავარია, ვაჩვენოთ მტერს, რომ მას საქმე აქვს ღირსეულ და ორგანიზებულ ერთან, მოგიწოდებთ ორგანიზებულობისკენ, სიმტკიცისკენ და წინააღმდეგობის გაწევისკენ ყველგან, სადაც ეს აუცილებელი იქნება მტრის შეიარაღებული ძალების შემოსვლის შემდეგ. უფალი იყოს ჩვენი მფარველი, გაუმარჯოს საქართველოს“.**

სადაა აქ ან „ვისაც რით შეუძლია“? ან დანა, ან ჯაყვა, ან „ზონტიკი“? გარკვევით ამბობს – რომ შემოსულ მტერს ყველა არსებული საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობა. ეს ერთგან, მეორეგან კი მოგვიწოდებდა წინააღმდეგობის გაწევისკენ ყველგან, სადაც ეს აუცილებელი იქნებოდა მტრის შემოსვლის შემდეგ. დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ეს იყო სიგნალი საყოველთაო მობილიზაციაზე? რატომ ჩათვალეს „ყველა არსებული საშუალება“ დანად, ჯაყვად და არა ტყვიამფრქვევად, ავტომატად? ან ვინმემ ვინმეს უთხრა, მთავრობა ვერ გიცავთ და თავებს თქვენვე უშველეთო? სხვათა შორის, მთელი ეს ხუთი წელიწადი თვითონ ბაქრაძეც დუმდა ამ საკითხზე, დუმილი ახლახანღა დაარღვია და განმარტა მისი მაშინდელი გამოსვლა**: „ეს იყო სიგნალი, რომელიც რუსებმა, სხვათა შორის, ძალიან მკაფიოდ გაიგეს, რომ თუ რუსები ზუგდიდში დაიწყებდნენ მოსახლეობის დაწიოკებას, ჩვენ გადავიდოდით სხვა ტიპის საბრძოლო მოქმედებებზე, როცა ყველა ერთად ავიღებდით იარაღს და წავიდოდით ჩეჩნური სცენარით, რაც ძალიან მძიმე იქნებოდა და ქვეყანას დაანგრევდა, მაგრამ თუ დაიწყებოდა მოსახლეობის დაწიოკება, უბრალოდ, სხვა არჩევანი არ გვექნებოდა“.**

ციხის კადრებისა და არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ვრცელდებოდა ხმები, თითქოს ბაქრაძე ნაცმოძრაობას ტოვებდა, ამ პარტიის დატოვება რომ სასტიკად გამორიცხა ბაქრაძემ, შემდეგ საერთოდ პოლიტიკიდან მის წასვლაზე დაიწყეს საუბარი. მოკლედ, ამ ბოლო დროს კასანდრები გაბერწდნენ – მიახლოებითაც ველარ პროგნოზირებენ, ბაქრაძე არათუ პოლიტიკიდან არ წავიდა, დღეს პრეზიდენტობის კანდიდატია. რეალური კონკურენტი და მის კონკურენტუნარიანობაში ეჭვი მათაც კი არ ეპარებათ, ვისაც მისი გაპრეზიდენტება არც უნდა და არც ჰგონია.



ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

გამჭვირვალობას
მოაქვს ნდობა

www.cesko.ge

რუსუდან შელია
557-100-768

# ზურაბ ზვიადაური: „ამ კითხვას თავს დიდხანს ვარიდებდი, მაგრამ ახლა ჩემს პოზიციას ხმამაღლა ვაფიქსირებ!..“



**„ქართული ოცნების“ დატოვებას მომავალი სამი წლის განმავლობაში არ აპირებს, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის და სპორტში დაბრუნების სურვილი აქვს. რა შეიცვალა ახმეტაში მისი მაჟორიტარობის პირობებში, რა ბიზნესებს ფლობს სპორტსმენი და რამდენი გადაუხადა ნინო ბურჯანაძემ ახმეტაში „ოცნების“ აქტივისტებს, „ვერსიას“ ახმეტის მაჟორიტარი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური ესაუბრა.**

— ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი სპონტანურად მოხდა... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე პოლიტიკაში მოვხვდებოდი, მაგრამ ფაქტია, დღეს საპარლამენტო უმრავლესობას წარმოვადგენ, ამიტომაც ვამბობ, გამორიცხული არაფერია და, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ რიგები მართლაც დავტოვო, თუმცა ამას სამი წლის შემდეგ, მაჟორიტარის მანდატის ამოწურვის შემდეგ ვგეგმავ.

**— არადა, ცოტა ხნის წინ აცხადებდით, რომ პარლამენტსა და კოალიციას მალე დატოვებდით. კონკრეტული თარიღიც დაასახელეთ — 27 ოქტომბერი, მას შემდეგ, რაც ქვეყანა ახალ პრეზიდენტს აირჩევს. ახლა ამ განცხადებებს რატომ უარყოფთ?**

— არასოდეს მითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, ერთ ან ორ წელიწადში პოლიტიკას დავტოვებ.

> **პირიქით, დრო მჭირდება იმისთვის, რომ ახმეტელებისთვის წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირებები სრულად შევასრულო. ამ მიმართულებით მაქსიმალურად ვმუშაობ, ასე რომ, მომავალი სამი წელი არსად წასვლას ვგეგმავ ან რატომ უნდა წავიდე?!**

**— გაუგებარია, ახლა „ქართული ოცნების“ დატოვების შესახებ საუბარი რატომ დაიწყეთ, სამი წლის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვება ხომ ისედაც მოგიწევთ?**

— მივხვდი, რომ პოლიტიკა ჩემი სფერო არ არის. მოგეხსენებათ, 23 წელი სპორტსმენი ვიყავი, აქტიურად ვჭიდაობდი და ჩემი ქვეყანაც ბევრჯერ მისახელებია. ეს მაძლევს საშუალებას, რომ ჩემი მოსაზრება ხმამაღლა გავაჟღერო. არ შეიძლება, ჩემი პოზიცია საჯაროდ დავაფიქსირო? ჩემ განცხადებებში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ.

**— როცა არჩევნებში ახმეტის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას დათანხმდით, მაშინ არ ფიქრობდით, რომ სპორტსმენი იყავით და არა პოლიტიკოსი?**

— ორი წლის წინ, ბიძინა ივანიშვილის გვერდით იმ მარტივი მიზეზის გამო დავდექი, რომ მაშინ ჩემს ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ადგილას ყველა პატრიოტი ქართველი იგივე გადაწყვეტილებას მიიღებდა, რადგან ქვეყანა უფსკრულში იჩეხებოდა. თანაც, ბატონ ბიძინას კი არა, მაშინ საქართველოს სჭირდებოდა მხარში დგომა. საზოგადოებამ კარგად იცის, როგორ მოქმედებდა წინა ხელისუფლება, ამიტომ ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი მმართველობის მანკიერებებს აღარ გავიხსენებ. ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანა გადაარჩინა — ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო. ვიმეორებ, მართალია, დღეს პოლიტიკოსი ვარ, მაგრამ ეს სულაც არ მზღუდავს სიმართლე ვთქვა.

**— კოალიციის ერთწლიანი მმართველობაც შეაფასეთ — რამდენად გაამართლა გუნდმა საზოგადოების წინასაარჩევნო მოლოდინი?**

— მიუხედავად გარკვეული შეცდომებისა, ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საკმაოდ წარმატებით იმუშავა. ჩვენ ბევრი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ხალხისთვის უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეგვექმნა. მწარედ შეცდა ის, ვისაც ეგონა, რომ ყველა დაპირებას კოალიცია ერთ წელიწადში შეასრულებდა. ჩვენი საარჩევნო პროგრამა ოთხ წელზე გაწერილი იყო, შესაბამისად, დაპირებებიც ეტაპობრივად შესრულდება. საზოგადოებამ ეს უნდა გაიაზროს და გაითვალისწინოს. პირადად მე, საზოგადოებაში ნეგატიურ მუხტს ვერ ვამჩნევ, ყოველ შემთხვევაში, ახმეტაში პოლიტიკური განწყობა არ შეცვლილა.

**— და თქვენი მაჟორიტარობის პირობებში, ახმეტაში უკეთესობისკენ რა შეცვალეთ?**

— ახმეტაშიც უამრავი კარგი საქმე გაკეთდა. თუ ვინმეს რამე პრეტენზია აქვს ჩემს მოღვაწეობასთან დაკავშირებით, პირადად მითხრას და ამომწურავ პასუხს გავცემ, რას და როგორ ვაკეთებ. არ მიყვარს ჩემს მიერ გაკეთებულ საქმეებზე საუბარი, საბედნიეროდ, კოალიციაც იგივე პრინციპით მოქმედებს. ერთს კი ვიტყვი — ახმეტაში იმაზე უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ნაციონალური მოძრაობის პირობებში იყო.

**— მაშინ რატომ განაცხადა ახმეტაში „ქართული ოცნების“ 50-მდე აქტივისტმა თქვენ მხარდაჭერაზე უარი და ნინო ბურჯანაძის პარტიაში გადაინაცვლა?**

> **— ეს ის 50 ადამიანია, რომლებიც, თავის დროზე, ნაციონალურ მოძრაობას ერთგულებას ეფიცებოდა, შემდეგ ბედის ირონიით, „ქართულ ოცნებაში“ აღმოჩნდა და ბოლოს, ნინო ბურჯანაძეს შეაფარა თავი. ერთ-ერთმა მათგანმა საჯაროდ პარტიის მანდატი დახია, თუმცა მერწმუნეთ, ფულის ინტერესი რომ არ ყოფილიყო, არც ერთი მათგანი ასე არ მოიქცეოდა.**

**— ნინო ბურჯანაძემ „ქართული ოცნების“ აქტივისტები მოისყიდა? ეს ადამიანები იმასაც ამბობდნენ, რომ თქვენ მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდით...**

— ერთ-ერთი ქალბატონის უფროსი შვილი, რომელიც ნინო ბურჯანაძის პარტიაში გადანაცვლებულთა შორის ყველაზე აქტიური იყო, დავასაქმე, თავადაც ფინანსურად უზრუნველყოფილი იყო, თუმცა ერთ მშვენიერ დღეს მითხრა — ჩემი უმცროსი შვილიც უნდა დაასაქმოო. ვუთხარი, შენი შვილის დასაქმებას, აჯობებს, პროფესიონალი დავასაქმოთ, ქვეყნისა და საქმისთვის ბევრად მომგებიანი იქნება-მეთქი. ჩემმა პასუხმა ქალბატონი გააბრაზა და ყვირილი დაიწყო, ზვიადაური მაგინებსო. არადა, ამ შეხვედრაზე მარტო არ ვყოფილვარ, ქისტების წარმომადგენლებიც ჩემთან ერთად იყვნენ და ისინი დაადასტურებენ, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია.

**— ბიზნესინტერესები, ახმეტის გამგეობაში თქვენი ნათესავების დანიშვნის ფაქტებიც ჭორია?**

> **— ახმეტაში ზვიადაურების კლანი არ არსებობს და არც ადგილობრივ მოსახლეობას ვატერორებ. ერთი ჩვეულებრივი დეპუტატი ვარ, რომელიც ხალხის სამსახურში ჩავდექი. დიახ, გამგებლის მოადგილედ ჩემი ბიძაშვილისშვილი ბერდია ზვიადაური მართლაც დავნიშნე, თუმცა ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, მაგრამ როგორც კი ამ ფაქტს სკანდალი მოყვა, ვთხოვე, განცხადება დაეწერა და თანამდებობა დაეტოვებინა. ასეც მოიქცა. საერთოდ, ახმეტაში თუ რამე ცუდი ხდება, ყველაფერი მე მბრალდება.**

**— როგორც რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ახმეტაში განვითარებულ მოვლენებზე თქვენს წილ პასუხისმგებლობას არ გრძნობთ?**

— რა თქმა უნდა, ვგრძნობ, მაგრამ ძირითადად, ჩემს ირგვლივ ჭორები ვრცელდება. მაგალითად, არასოდეს დამიმალავს, რომ ახმეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ჩემი მეგობარია. ახმეტაში დაბადებული და გაზრდილი ვარ, ამიტომ ბუნებრივია, იქ ბევრი მეგობარი მყავს. ამას ვერ გავექცევი და ეს ჩემს წინააღმდეგ კომპრომატი სულაც არ არის.

**— დაბოლოს, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, დღეს რამდენად გამართლებულად მიიჩნევთ სოჭში ქართველი სპორტსმენების გამგზავრებას?**

— ამ კითხვას თავს დიდხანს ვარიდებდი, მაგრამ ახლა ჩემს პოზიციას ხმამაღლა ვაფიქსირებ:

> **როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, მიმაჩნია, რომ ქართველი სპორტსმენები სოჭში აუცილებლად უნდა გაემგზავრონ. ზოგადად, ამორალურია, როცა სპორტსმენებს პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებას აიძულებენ.**

რა დააშავა იმ სპორტსმენმა, ოთხი წელი რომ შრომობდა და ამ შეჯიბრს ელოდა? მოგეხსენებათ, სპორტსმენის უმაღლესი კვარცხლბეკი სწორედ ოლიმპიური ჩემპიონობაა. თანაც თუ სპორტსმენი ოლიმპიურ ჩემპიონატზე არ გაემგზავრება, მის წინააღმდეგ გარკვეული სანქციები ამოქმედდება. კერძოდ, ოლიმპიადაზე ვერასოდეს იასპარეზებს. 2008 წელს, მაშინ, როცა საქართველო საომარ მოქმედებებში რეალურად ჩართული იყო, ჩვენი ბიჭები პეკინის ოლიმპიადაზე იმყოფებოდნენ. რატომღაც ნაციონალურ მოძრაობას ეს არ გაუპროტესტებია, პირიქით, ქართველ სპორტსმენებს მოუწოდეს, ოლიმპიადაზე ასპარეზობა გაეგრძელებინათ. გაუგებარია, იგივე ადამიანებს ახლა რატომ აღარ სურთ სოჭის ოლიმპიადაზე სპორტსმენების გამგზავრება?!

**— განსხვავება ისაა, რომ ზამთრის ოლიმპიადა, რომლის ჩირაღდანსაც აგვისტოს ომის „გმირი“, რუსი სამხედრო მფრინავი ივან ნეჩაევი აანთებს, ოკუპანტ ქვეყანაში, თანაც საქართველოს კონფლიქტისპირა სოფლებში სადემარკაციო სამუშაოების ფონზე უნდა გაიმართოს.**

— ეს სპორტსმენების საქმე აღარ არის, პოლიტიკური საკითხია, რომელიც მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს. სპორტსმენები ქვეყნებს შორის დაპირისპირებაში არ ერევიან. ისიც ვიცი, რომ საზოგადოება სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ ხელმოწერებს აგროვებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ შორის უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი იქნება. ვისაც განსხვავებული აზრი აქვს, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ხელმოწერები შეაგროვოს, მაგრამ სპორტსმენები პეტიციების მიხედვით არ ასპარეზობენ. დარწმუნებული ვარ, საზოგადოების უმრავლესობა ოლიმპიადაზე გამგზავრების მომხრეა.

## ვერსიანიუსი

### სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე გადაწყვეტილება 2014 წელს გამოცხადდება



პასუხი იუსტიციის სამინისტრომ, რომელიც სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს სახელმწიფოს წარმოადგენს, მას შემდეგ მიიღო, რაც იუსტიციის მინისტრი საჩივრის ბედით დაინტერესდა. თეა წულუკიანმა სტრასბურგის სასამართლოს შეახსენა, რომ საქმეზე ზეპირი განხილვა ჯერ კიდევ 2012 წლის ივნისში იყო დასრულებული.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, სტრასბურგის სასამართლოს წერილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ დაგვიანდა გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცესი. რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დეპორტაციასთან დაკავშირებით საქართველომ სახელმწიფოთაშორისი საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგში 2007 წლის მარტში შეიტანა. 2009 წლის 16 აპრილს გაიმართა ზეპირი განხილვა საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, რომელშიც ქართული და რუსული მხარეები მონაწილეობდნენ. 2009 წლის 30 ივნისს სასამართლომ საქართველოს საჩივარი დასაშვებად ცნო და, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის განსახილველად სასამართლოს დიდ პალატას გადასცა.

2011 წლის 1 თებერვლიდან, 5 დღის განმავლობაში, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ზეპირი მოსმენის წესით დაკითხა მოწმეები. პირველი ორი დღე ქართული მხარის მიერ წარდგენილი ათამდე მოწმის მოსმენას დაეთმო, ხოლო დანარჩენ დღეებში სასამართლო რუსეთის მხარის მოწმეებს უსმენდა. 2012 წლის 13 ივნისს ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ მოუსმინა მხარეებს, რის შემდეგაც სასამართლომ საქმის არსებითი განხილვა დაასრულა. მიმდინარე წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს საჩივრის ბედით ოფიციალურად დაინტერესდა და სასამართლოსგან წერილობით გამოითხოვა პასუხი იმის შესახებ, თუ როდის გამოქვეყნდება გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საქმეზე.

*„პირველი“*

# „დამოუკიდებელი და გამართული სასამართლო ძლიერი და განვითარებული ქვეყნის ბაზისია"

*აცხადებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძე, რომელთან ვრცელ ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.*



**- ბატონო ლევან, ცოტა ხნის წინ პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეები უვადოდ დაინიშნებიან სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემდეგ, ცნობილია, რომ სასამართლო სისტემა არ ეთანხმება ამ ცვლილებას.**

- ჩვენ თავიდანვე ვთვლიდით, რომ მოსამართლეებისთვის სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის განვითარებისთვის არასწორი ნაბიჯი იყო. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პარლამენტს მიმართა წინადადებით, რომ კანონში ცვლილების შეტანა არ მომხდარიყო ნაჩქარევად და მისი განხილვა გადადებულიყო აპრილამდე. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინადადება არ მიიღეს და ეს საკითხი ნაჩქარევად განიხილეს. ამ კანონის მიღებით მივიღებთ იმას, რომ ჩვენ ერთის მხრივ, გვეყოლება მოსამართლეები, რომლებიც 10-წლიანი ვადით არიან დანიშნული, ასევე, სამწლიანი ვადით დანიშნული მოსამართლეები და ამ ვადის გასვლის შემდეგ ნაწილი მოსამართლეებისა, რომლებიც შეირჩევიან, ანუ უკვე უვადოდ დანიშნულები. ჩნდება კითხვა - სამი წლის განმავლობაში მოსამართლემ განსახილველ საქმეებზე უნდა იფიქროს თუ იმაზე, როგორ მოიქცეს, რომ თავი მოაწონოს მონიტორინგის განმახორციელებლებს, რათა მათი უვადოდ გადანიშვნა მოხდეს? სწორედ, ამიტომ ვიყავით კანონის ამ ფორმით მიღების წინააღმდეგი, თუმცა, კანონი უკვე მიღებულია.

**- ბატონო ლევან, სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, რა კრიტერიუმებით მოხდება მოსამართლეთა შერჩევა, რათა ისინი უვადოდ დაინიშნონ? როგორ მოხდება მათი შეფასება? და ვინ შეარჩევს უვადოდ დასანიშნ მოსამართლეებს?**

- ეს ჯერ არ არის ცნობილი. თუ არ ვცდები თავდაპირველად იყო საუბარი, რომ მოსამართლეები შემოწმდებოდნენ გამოტანილი გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხით, თავდაპირველ ვერსიაში საუბარი იყო იმაზეც, რომ მოსამართლეთა შეფასება-შერჩევა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა მომხდარიყო, თუმცა, ეს ნორმა ჯერ არ მიუღიათ. დღეის მდგომარეობით არც კრიტერიუმები და არც ის ორგანო, რომელიც შეარჩევს მოსამართლეებს არ არის ცნობილი. ეს საკითხი გადადებულია მაისამდე. დღეს ცნობილია, მხოლოდ ის, რომ მოსამართლეები დაინიშნებიან სამწლიანი საგამოცდო ვადით. ჩვენი მოსაზრებაა, რომ ამ შემთხვევაში მაინც უნდა მოხდეს ჩვენი პოზიციის გათვალისწინება. საერთოდ, მიმაჩნია, რომ როცა სასამართლო რეფორმას ეხება საქმე და ამ მიმართულებით სიახლეებს ვიღებთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსამართლეების აზრი. ჩვენი პოზიცია ასეთია: სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლეები უვადოდ უნდა გადაინიშნონ იმ შემთხვევაში თუ არ ჩაიდენენ სისხლის სამართლის დანაშაულს, ან არ დაარღვევენ ეთიკური ნორმებს. მოსამართლეების დანიშვნა არ უნდა იყოს დამოკიდებული ვინმეს სუბიექტურ აზრზე. ახლა ჩვენ ვაცხადებთ, რომ მოსამართლეთა კრიტერიუმების დადგენა არ შეიძლება ნაჩქარევად მოხდეს, ამ საკითხს კარგად გააზრება უნდა. იმედი გვაქვს, რომ საბოლოოდ, მოხდება პოზიციების შეჯერება და ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, რომელიც დააზარალებს სასამართლო სისტემას და საფრთხეს შეუქმნის მის დამოუკიდებლობას, პარლამენტი არ მიიღებს.

**- ბატონო ლევან, როგორც მახსოვს, მოსამართლეთა სამწლიანი საგამოცდო ვადის დაწესების შესახებ ჩასწორება წინა მოწვევის პარლამენტმა მიიღო, მაშინვე თუ გქონდათ მსგავსი კრიტიკული მოსაზრებები და რატომ არ იყო ასე აქტიურად მის განხილვაში სასამართლო სიესტემა აქტიურად ჩართული?**

- წინა ხელისუფლების დროს შევიდა ცვლილება კონსტიტუციის გარდამავალ დებულებაში, სადაც ჩაიწერა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შესაძლებელი იყო მოსამართლეთა სამწლიანი საგამოცდო ვადით დანიშვნა. მაშინ მე არ ვიყავი იუსტიციის საბჭოს მდივანი, მაგრამ როგორც ვიცი, ამ დებულებას ეწინააღმდეგებოდა ბატონი კოტე კუბლაშვილი და საბჭოს სხვა წევრებიც. მაშინ, სასამართლო სისტემის აზრი არ იქნა გათვალისწინებული. ახლა, ამ დებულებამ ასახვა უკვე კანონში ჰპოვა, რაც ჩვენი აზრით, არასწორია და ვიმეორებ, ის ზღუდავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხს. საერთოდ, სასურველია, რომ ისეთ საჭირბოროტო საკიხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სასამართლო სისტემას, აუცილებელია მოსამართლეთა მოსაზრების გათვალისწინება. სასამართლო სისტემაზე ქვეყნის ბედია დამოკიდებული და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანონშემოქმედებით პროცესში ძალზე აქტიურ ჩართვას აპირებს და ვფიქრობ, ჩვენი და პარლამენტის პოზიციები უფრო მეტად დაახლოვდება.

**- იქნებ სწორედ ამ ნორმამ შეუწყოს ხელი იმას, რომ მოსამართლეები უფრო მეტი პროფესიონალიზმით მიუდგნენ განსახილველ საქმეებს, უფრო კვალიფიციური გახდეს მოსამართლეთა გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი, უფრო მეტი დამოუკიდებლობა მიეცეთ საქმიანობისას.**

- რაც შეეხება პროფესიონალიზმს, ის გამოცდილებასთან ერთად მოდის. მიმაჩნია, რომ მოსამართლეს, რომელიც 10 წელი მუშაობს სამწლიანი გამოსაცდელი ვადა არ უნდა დაუწესდეს. მაგალითისთვის გეტყვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს 10-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომ გაუჩნდეს სურვილი საქალაქო ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დაინიშნოს, სამწლიანი საგამოცდო ვადა უნდა დაუწესონ? ეს, რაღაც არალოგიკური მიდგომაა. 10 წელი უკვე ის პერიოდია, როცა მოსამართლე პროფესიონალადაა ჩამოყალიბებული და მას აღარ სჭირდება არანაირი საგამოცდო ვადები. მას ან არ დანიშნავენ ან თუ დანიშნავენ მაშინ მისი მოსამართლედ განმწესება უნდა მოხდეს ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე. ამიტომაა მნიშვნელოვანი საგამოცდო ვადის კრიტერიუმების კარგად შემუშავება. მოსამართლეს უნდა მიეცეს სრულფასოვანი საქმიანობის საშუალება, მან მხოლოდ გადაწყვეტილების დასაბუთებულობაზე უნდა იფიქროს და არა იმაზე ვის და როგორ მოაწონოს თავი. იმედი გვაქვს, რომ მაისამდე გვექნება საშუალება დაიხვეწოს ეს კრიტერიუმები და საბოლოოდ, ისეთი სახე მიიღოს, რომელიც არ შეაფერხებს მოსამართლეთა საქმიანობას. სხვათა შორის, ამ ნორმას არასამთავრობო ორგანიზაციებიც ეწინააღმდეგებიან და მიაჩნიათ, რომ მისი მიღება ნაჩქარევად მოხდა.

მიმაჩნია, რომ ეს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის კრიტერიუმები უნდა იყოს ობიექტური და არა სუბიექტური, უნდა შევძლოთ, შევქმნათ შერჩევის ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც ობიექტურ ფაქტორებზე დამოკიდებული იქნება და არა ვიღაცის სუბიექტურ ფაქტორზე. როგორც კი კონკრეტული ადამიანის სუბიექტური ფაქტორი გაჩნდება, საგამოცდო ვადით დანიშნულ მოსამართლეებს ვუბიძგებთ, რომ ვიღაცის სუბიექტური მოთხოვნები დააკმაყოფილოს. მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ერთმანეთს, შევაჯეროთ პოზიციები და მივიდეთ სწორ გადაწყვეტილებამდე.

**- ბატონო ლევან, სასამართლოს რეფორმირებასთანაა დაკავშირებული ცვლილებების პროექტი, რომელიც იუსტიციის უმაღლეს სკოლას უკავშირდება, რა ცვლილეები შეიძლება განხორციელდეს იუსტიციის სკოლაში? მით უმეტეს, რომ იუსტიციის უმაღლესი სკოლა მუდმივად იყო კრიტიკის ობიექტი, იმის გამო, რომ ის ვერ უშვებს მოსამართლეთა კვალიფიციურ კადრს.**

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების გამოკითხვის შედეგად გაკეთდა ანალიზი, რომ კარგი იქნება თუ უფრო მეტი დრო დაეთმობა პრაქტიკას. შესაბამისად, მივედით დასკვნამდე, რომ სკოლაში არსებული 10-თვიანი ვადა გაიზარდოს 15 თვემდე და გაცილებით მეტი დრო დაეთმოს პრაქტიკულ სწავლებას, მსმენელებისთვის სამოსამართლო უნარჩვევების შესწავლას, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხზე მუშაობას და ა.შ. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ მსმენელს უნდა გაეზარდოს სტიპენდიაც, რათა ის ბოლომდე სასწავლო პროცესით იყოს დაკავებული. სკოლაში ასწავლიან კვალიფიციური ლექტორები, მოქმედი მოსამართლეები და კადრი, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი სკოლა უშვებს ნამდვილად კვალიფიციური კადრია და ეს ფაქტია. შესაძლოა სკოლაში იდეალური მდგომარეობა არ არის, არსებობს გარკვეული ხარვეზები, მაგრამ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათ გამოსწორებაზე, თუმცა არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა ვთქვათ სკოლაზე, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ მისი შემოღება ძალზედ კარგი იდეა იყო.

**- აქტუალურია, მოსამართლეთა ხელფასებისა და პენსიების გაზრდის თემა, როგორც ცნობილია, სასამართლო ითხოვს მოსამართლეთა სოციალური გარანტიების გაზრდას.**

- სოციალური გარანტიები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კიდევ ერთი გარანტიაა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენს პროექტს მიიღებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. ყველას ესმის, მოსამართლეს ყველა პირობა უნდა შევუქმნათ, რომ ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მას აკისრია, პირნათლად იტვირთოს. პირველ რიგში, ამისთვის საჭიროა, მოსამართლე მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს, მას არ უნდა ჰქონდეს სხვა საფიქრალი, სოციალურ პრობლემებს ვგულისხმობ, გარდა განსახილველი საქმისა. ამიტომაც, მოსამართლისთვის ღირსეული ხელფასი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე ვთქვი, რომ მოსამართლეებს 5 წელია ხელფასი არ გაზრდიათ, 6-7 წლის წინ შესაძლოა მათ კარგი ხელფასები ჰქონდათ, მაგრამ დღეს მათი ხელფასები ბევრად ჩამოუვარდება მაგალითად, იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის ხელფასს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ვინმეს საქმიანობას ვაკნინებდე, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მოსამართლის საქმიანობა გაცილებით მძიმეა და მას გაცილებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ამიტომაც, ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა ჰქონდეთ. არსებობს გარკვეული რანგი სახელმწიფო მოხელეებისა, რომელთაც გაცილებით დიდი ხელფასი აქვთ, ვიდრე მოსამართლეებს. ვფიქრობ, რომ მოსამართლეებს მათზე მეტი თუ არა, ნაკლები ანაზღაურება არ უნდა ჰქონდეთ.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი პრობლემა, სასამართლოდან მასიურად ხდება კადრების გადინება, სწორედ იმიტომ, რომ დაბალი ხელფასებია. საუბარია, აპარატის თანამშრომლებზე, მოსამართლის თანაშემწეებზე, სხდომის მდივნებზე. მაგალითად, სხდომის მდივანი უმძიმეს და ურთულის სამუშაოს ასრულებს და მისი ხელფასი 500 ლარია, ეს ზღვაში წვეთია მის მიერ შესრულებულ საქმიანობასთან შედარებით. თუ აპარატი გამართული და სოციალურად უზრუნველყოფილი არ იქნება, სასამართლო სისტემის გამართულ მუშაობას ხელი შეეშლება. ამიტომაც, მიგვაჩნია, რომ გარდა მოსამართლეებისა, უნდა გაიზარდოს სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა ხელფასებიც. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია.

**- ბატონო ლევან, როგორც ვიცი, შეიცვლება მოსამართლეთა დისციპლინური დასჯის წესიც.**

- ეს ჩვენი იდეაა. მიგვაჩნია, რომ მოსამართლე ადმინისტრაციული წესით უნდა დაისაჯოს იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევს ეთიკურ ნორმებს და არა საქმეზე გამოტანილი კონკრეტული გადაწყვეტილების გამო. თუმცა, ჩვენი ეს პროექტი ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია, რასაც შემდეგ სჭირდება პარლამენტთან ურთიერთობა, რომ მიიღოს კანონის სახე. მოსამართლე უნდა იყოს სრულიად დაცული, როგორც მატერიალურად ასევე, დისციპლინური დევნის კუთხით და მისი ერთადერთი საფიქრალი უნდა იყოს განსახილველი საქმე, რათა გამოიტანოს სწორი, მიუკერძოებელი და კანონიერი გადაწყვეტილება. ხელოვნურად შექმნილმა გარემოებებმა მოსამართლეს საქმიანობაში არ უნდა შეუშალოს ხელი.

**- იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე არასწორ გადაწყვეტილებას გამოიტანს ეხსნება პასუხისმგებლობა?**

- ასეთ შემთხვევაში არსებობს ზემდგომი ინსტანციები და თუ ის მართლაც არასწორია, ხარვეზიანია, შეაფასებს და გაასწორებს ზემდგომი ინსტანცია. აქვე გეტყვით, რომ შეიქმნა სადისციპლინო კოლეგია, რომელიც საბჭოსგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანოა და რომელიც განიხილავს მსგავს საკითხებს, არსებობს ასევე, უზენაეს სასამართლოში სადისციპლინო პალატა, რომელიც ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას.

**- ბატონო ლევან, ცოტა ხნის წინ თქვენ პრემიერ-მინისტრს შეხვდით, მან კონკრეტულად თქვენ, როგორც პროფესიონალი საკმაოდ დადებითად შეგაფასად, როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ეს პოლიტიკური ჟესტი, პრემიერ მინისტრის გზავნილი საზოგადოებისთვის, რომ სასამართლო სისტემა ხელშეუხებელია.**

- ამ შეკითხვასთან დაკავშირებით პირდაპირ გეტყვით. შეხვედრის მთავარი ხაზი იყო ის, რომ სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი, რაც გარანტიაა იმისა, რომ ქვეყანაში განვითარდეს დემოკრატიული პროცესები. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა პირდაპირაა დამოკიდებული სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და გამართულობაზე, ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების, ბიზნების განვითარების საფუძველი სწორედ დამოუკიდებელი სასამართლოა. საერთოდ, გამართული, ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლო ძლიერი და განვითარებული ქვეყნის ბაზისია. ამ შეხვედრაზე დავინახე, რომ პრემიერ-მინისტრი სწორედ ასე ფიქრობს და მისი დიდი, გულწრფელი სურვილია, სასამართლო სისტემის განვითარება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სასამართლო სისტემა უფრო მეტად განვითარდეს და უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდეს - ეს ქვეყანას სჭირდება.

პროექტს ახორციელებს "საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com



## ბურჯანაძის ინფორმაციით, ღარიბაშვილს პოლიციელების საარჩევნო პროცესებში ჩაურევლობის ბრძანება აქვს გაცემული

როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ მედიასთან შეხვედრაზე განაცხადა, ირაკლი ღარიბაშვილმა სამართალდამცველებს მითითება მისცა, რომ წინასაარჩევნო პროცესებისგან თავი შორს დაიჭირონ.

**„ჩემი ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი ღირსეულად იქცევა. მას ადგილებზე მითითება აქვს გაცემული, რომ პოლიცია არ ჩაერიოს წინასაარჩევნო კამპანიაში, არ მოახდინოს მანიპულირება, ჯერჯერობით ასეა, თუმცა ზოგიერთი პოლიციელის მხრიდან მაინც იყო ზეწოლის მცდელობა“,** — განაცხადა ბურჯანაძემ და იმედი გამოთქვა, რომ შსს მათი მხარდამჭერის ვახტანგ კოშაძის ცემის ფაქტს გამოიძიებს.

*„პირველი“*



## პრეზიდენტმა დავით დემურია გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა

მიხეილ სააკაშვილმა გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი გარდაცვლილი სამართალდამცველის დავით დემურიას მცირეწლოვან ვაჟს გადასცა. მისი თქმით, საქართველოს ასეთი გმირები ბევრი არ ჰყავს. საქართველოს პრეზიდენტმა გარდაცვლილი სამართალდამცველის ოჯახის წევრებს მიუსამძიმრა.

დავით დემურია რამდენიმე დღის წინ ხობის რაიონის სოფელ ხორგაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაიღუპა. ყაჩაღობისთვის ძებნილმა თეიმურაზ ოკუჯავამ პოლიციელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და ორმხრივი სროლის დროს დავით დემურია დაიღუპა, 4 პოლიციელი კი დაიჭრა.

*„პირველი“*



## შსს-მ ყაჩაღური დაჯგუფება დააკავა

დაკავებულია ყაჩაღური დაჯგუფების სამი წევრი, 1983 წელს დაბადებული რამაზ გ, 1978 წელს დაბადებული დავით გ. და 1983 წელს დაბადებული რივერა ბ. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2004 წლის 6 ოქტომბერს, ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში, ნოდარ გეწაძის ოჯახზე შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს. თავდასხმის დროს ოჯახის წევრებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს. თავდამსხმელებმა მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და სახლიდან დიდი ოდენობით ოქრო და ფული გაიტაცეს. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე სსსკ-ს 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

*„პირველი“*

# ნოემბრიდან საპატრულო ჯარიმები ნახევრდება, ნასვამი მძღოლი კი, 200 ლარის ნაცვლად, 6 თვე მართვის უფლების ჩამორთმევით დაჯარიმდება

### საპატრულო ჯარიმებიდან ბიუჯეტში, დაახლოებით, 8 მილიონი ლარი შედის




ნინო კომახიძე
599-95-33-16

**მძღოლებს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არაერთი სიახლე ელით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ შს სამინისტროს ინიციატივით, ნასვამ მძღოლს 200-ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, მართვის უფლებას ნახევარი წლით ჩამოართმევენ. სამაგიეროდ, ეროვნული ფორუმის მიერ მომზადებული მეორე ინიციატივით, საპატრულო ჯარიმები ნახევრდება. ჯარიმების ტარიფების გადახედვაზე „ოცნებაში“ საუბარი ჯერ კიდევ ივლისში დაიწყეს. შს მინისტრის მოადგილემ ლევან იზორიამაც ივლისში გამართულ ერთ-ერთ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, 200-ლარიან ჯარიმას ყველა ნასვამი მძღოლი იხდის და დანაშაულს მეორე დღესვე იმეორებს, ამიტომ მათ მართვის მოწმობა ერთი წლით უნდა ჩამოვართვათო. მაშინ ნახევარი პარლამენტი აღშფოთდა, ღვინო ქართული კულტურის ნაწილია და ამ სასმელის მოყვარულებს ასე მკაცრად ნუ დავსჯითო, მაგრამ რა ვუყოთ საგანგაშო სტატისტიკას?! თურმე, წელიწადში მინიმუმ 40 000 მძღოლი ჯარიმდება მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო, სიკვდილიანობით დასრულებული ავტოსაგზაო შემთხვევების მთავარი „გმირი“ კი 100-დან 99-ჯერ სწორედ ალკოჰოლური სასმელია!**

ლევან იზორიამ, მოგვიანებით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებების პაკეტი ოდნავ შეცვლილი სახით წარმოადგინა. გაირკვა, რომ ნასვამ მძღოლს მართვის უფლება პირველ ჯერზე, 1-ის ნაცვლად, ნახევარი წლით ჩამოერთმევა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ჯარიმების შემცირება კი ნოემბერში იგეგმება. კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა. მეორე, ლიბერალური კანონპროექტი „ფორუმელ“ მაჟორიტარ თემურ მაისურაძეს ეკუთვნის, რომელიც ყურადღებას ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევაში დაწესებული საურავების განახევრებაზე ამახვილებს. ამ კანონპროექტის შინაარსი, ალბათ, ყველა მძღოლისთვის სასიამოვნო იქნება: ჯერ ერთი,

**ჯარიმების გადახდის ვადა 1-დან 3 თვემდე იზრდება. ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობის შემთხვევაში, 40-ის ნაცვლად, 20-ლარიანი ჯარიმა გაფორმდება. საჯარიმო სანქციები მცირდება სიჩქარის გადაჭარბებისა და შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესის დარღვევის შემთხვევაშიც. 15 კმ/სთ-ზე მეტით სიჩქარის გადაჭარბება, 100-ის ნაცვლად, მძღოლის 75 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. სიჩქარის გადაჭარბების შედეგად საავარიო ვითარების შექმნის ან მოძრაობის შეფერხების დროს, 250-ის ნაცვლად, 150 ლარის გადახდა მოგიწევთ; გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან მანევრირების წესის დარღვევისთვის განსაზღვრული 50-ლარიანი სანქცია კი 20 ლარზე ჩამოდის. პრიორიტეტული ან ამკრძალავი ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასვლის წესის დარღვევა და გავლის უპირატესობის მქონე ტრანსპორტისთვის დაბრკოლების შექმნა მძღოლს 50-ის ნაცვლად, 30 ლარი დაუჯდება. ნახევრდება 100-ლარიანი ჯარიმა შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთასა და ამ დარღვევის განმეორებაზეც.**

როგორც „ვერსიას“ კანონპროექტის ავტორი **თემურ მაისურაძე** განუმარტავს, ეს სასიამოვნო სიახლე წინასაარჩევნო ფანდად რომ არ მონათლულიყო, მისი განხილვა-დამტკიცება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადაიდო:

— ინიციატივის განხილვა არჩევნების შემდეგ დაიწყება, რადგან არჩევნებამდე სხვა საჩქარო საკონსტიტუციო ცვლილებებია მისაღები. ისე, ამ კანონპროექტის განხილვა არჩევნებამდე რომ გადმოგვეწია, იტყოდნენ, ამით ამომრჩევლის გულისმოგება სურთო. სჯობს, განხილვები არჩევნების მერე დაიწიოს და საღმა აზრმა გაიმარჯვოს, ვიდრე იდეას წინასაარჩევნო პიარის იარლიყი ჩამოკიდონ.

**— კანონპროექტში ჯარიმების შემცირებაზე მეტად, ყურადღებას გადახდის ვადის გადაცილების შემდეგ დაკისრებული საურავების შემცირებაზე რატომ ამახვილებთ. რა სტატისტიკას ეყრდნობით?**

— ჯარიმის გადაუხდელობა მძღოლს გაცილებით დიდ თანხას აკისრებს. პრობლემაა ისიც, რომ საქართველოში ჯარიმების თანხა, შემოსავლებთან შედარებით, მეტისმეტად მაღალია. ყველაზე მაღალი გადასახადი მინიმალურ ხელფასთან მიმართებაში საფრანგეთშია და იგი დაახლოებით 12%-ს შეადგენს, ჩვენთან კი ეს შეფარდება დაახლოებით 31%-ია — თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში. ინიციატივის ლოგიკა მარტივია — თუ კონკრეტული კანონდარღვევა 10 ლარით ჯარიმდება, როგორ შეიძლება, 10 ლარის გადაუხდელობის გამო, ადამიანი დამატებით 100 ლარით დააჯარიმო? თუ კაცს 10 ლარი არ ჰქონდა და ვერ გადაიხადა, 100-ს გადაიხდის?! მესმის, გამართლებულია მაღალი საურავის არსებობა, რადგან ადამიანი ჩქარობს პირველი ჯარიმის სწრაფად გადახდას, მაგრამ ჯამში, ჯარიმები შემოსავლის არაადეკვატურია. ასეთია რეალური ცხოვრების ლოგიკა და ჩვენც ამ ლოგიკით მივდივართ — ვითხოვთ ჯარიმის ერთთვიანი ვადის 3 თვემდე გაზრდას. სტატისტიკა კი, სამწუხაროდ, არ არსებობს, ჯარიმებიდან ბიუჯეტში შესული თანხა 8 მილიონ ლარამდე ადის — მოძრაობის წესებს საქართველოში ძალიან ბევრი არღვევს და რამდენადაც ვიცი, ბიუჯეტში სწორედ ამას მოაქვს ყველაზე დიდი შემოსავალი. ეს სერიოზული ფულია, მაგრამ იმ ოქროს შუალედზე გავლა გვინდა, როცა მძღოლების ინტერესებიც დაცულია, ფეხითმოსიარულეებისაც და სახელმწიფოსიც. ვერ ვიტყვი, რომ დიდმა ჯარიმებმა ქართველ მძღოლებზე დადებითი გავლენა მოახდინა და დარღვევების რიცხვი შემცირდა. თან, მხოლოდ მძღოლები არ აშავებენ. სიმართლე გითხრათ, მომხრე ვარ, ჯარიმები ფეხითმოსიარულეებს გაეზარდოთ!

**— ფეხითმოსიარულე გზის უადგილოდ გადაკვეთის გამო, 3 ლარით ისედაც ჯარიმდება. ამ თანხის გაზრდას ითხოვთ?**

— მიზანი ჯარიმის გაზრდა კი არა, უფრო მარტივი ადმინისტრირებაა. 3-ლარიანი ჯარიმა იმდენად პატარა თანხად ითვლება, მისი ადმინისტრირება ბევრად ძვირი ჯდება — უწყებაში წინ და უკან უნდა ირბინო, ჯარიმები ქაღალდებზე უნდა გამოწერო, აფორმო... რეალურად, 3-ლარიანი ჯარიმის ადმინისტრირება თითქმის არ ხდება. ამის გამო ფეხითმოსიარულეს ზოგჯერ, არც აჯარიმებენ.

ფეხითმოსიარულეებს ვერაფრით დავამშვიდებთ და არც ყველა ავტოსაგზაო შემთხვევის მხოლოდ მძღოლზე გადაბრალება ღირს. სამაგიეროდ, ნასვამი მძღოლი დანაშაულს 200 ლარით ვეღარ გამოისყიდის. არაერთი საკომიტეტო მოსმენისა და საკითხის პლენარულ სხდომაზე გატანის შემდეგ, შს სამინისტრო და დეპუტატები შეჯერდნენ — მძღოლი მართვის უფლებას ნახევარი წლით კარგავს, სამაგიეროდ, ამ უფლების მისაღებად ხელახალი გამოცდის ჩაბარება აღარ მოუწევს.

*დასასრული მე-9 გვერდზე*

ექსკლუზივი

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

# რა პრობლემებს უქმნის ქართველ ემიგრანტებს ქართული კანონმდებლობა

## პატრიარქის კურთხევით, ათენში ქართული სკოლა გაიხსნა

**1 ოქტომბერს, ათენში, წმინდა გიორგის სახელობის ქართულ სკოლაში ზარი პირველად დაირეკა. ქართველი მრევლის წინამძღოლის, ქართული ეკლესიის წარმომადგენლის, მამა აბიბოსის ლოცვა-კურთხევის შემდეგ, ქართველი ემიგრანტი ბავშვები მერხებს მიუსხდნენ და მშობლიური ენის სწავლას შეუდგნენ. მანამდე, ათენში, წმინდა გიორგის სახელობის ქართული სკოლის გახსნა, საქართველოს პატრიარქმა აკურთხა. სამწუხაროდ, საბერძნეთში დაბადებულ-გაზრდილ თინეიჯერებს ქართულად წერა-კითხვა უჭირთ, პატარების ნაწილი კი მშობლიურ ენას ჯერ არც ზიარებია. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ქართველებს, საბერძნეთში, პირველი ისეთი ქართული სკოლის გახსნის იდეა გაუჩნდათ, სადაც სწავლება საქართველოს განათლების პროგრამის იდენტური იქნება.**





იდეა, დაახლოებით, ერთი წლის წინ დაიბადა. მაშინ, როცა ბერძნული ენა-ლიტერატურის ფილოლოგიის მაგისტრი ნანა ტოხვაძე საბერძნეთში ოჯახით დამკვიდრდა და მინიმუმ, 400 ათასი ქართველი ემიგრანტის მსგავსად, სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოჩნდა — მის შვილებს შეიძლება მშობლიური ენა დავიწყებოდათ და სამშობლოში დაბრუნების სურვილიც გაქრობოდათ. ამიტომ შექმნა ქალბატონმა ნანამ მეგობრებთან ერთად საინიციატივო ჯგუფი და ათენში ქართული სკოლის დაარსება გადაწყვიტა.

იდეის განხორციელება არც ისე მარტივი აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის კანონმდებლობა, ქვეყანაში უცხოენოვანი სკოლების დაარსებას არ ზღუდავს. **„ათენში ქართული სკოლის გახსნა უბრალოდ იდეა კი არ არის, ეს აუცილებლობაა. საბერძნეთი, ქართველი ემიგრანტების რაოდენობის თვალსაზრისით, მეორე ქვეყანაა. აქ დაბადებული ქართველი მოზარდები მოწყვეტილი არიან მშობლიურ გარემოს, არ ფლობენ მშობლიურ ენას, არ აქვთ განათლების ქართულ ენაზე მიღების საშუალება. საბერძნეთში მყოფი ოჯახების უმრავლესობა ამბობს, რომ ადრე თუ გვიან, საქართველოში აუცილებლად დაბრუნდება. ქართულ ენაზე მიღებული განათლება კი, უცხო ქვეყანაში დაბადებულ-გაზრდილ ადამიანებს იმის საფუძველს შეუქმნის, სამშობლოში ადაპტაცია ადვილად შეძლონ და საქართველოში დაბრუნების სურვილი არასოდეს გაუნელდეთ“,** — აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას **ნანა ტოხვაძე** და იმასაც გვიმხელს, რომ საბერძნეთის განათლების სამინისტროს სკოლისთვის სტატუსი ოფიციალურად ჯერ არ მიუნიჭებია: **„უცხოენოვანი სკოლა საბერძნეთში, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი შენობა, ღია თუ დახურული სპორტული მოედნით, დარბაზით, საკლასო ოთახში თითო მოსწავლეზე 1,5 კვ/მ ფართით...“**

სათანადო შენობის არარსებობაა იმის მიზეზი, რომ წმინდა გიორგის სახელობის სკოლას სტატუსი ჯერ კიდევ არ აქვს. არადა, შერჩეული იყო შენობა, რომელშიც სკოლა, ფინანსური სიდუხჭირის გამო ვერ განთავსდა. შექმნილი პრობლემის მიუხედავად, სასწავლო წელი რომ არ ჩაეგდოთ, ალტერნატიული შენობა მოძებნეს, სადაც სკოლა, საინიციატივო ჯგუფის წევრებმა საკუთარი ხარჯებით განათავსეს და 1 ოქტომბერს, პირველი გაკვეთილებიც ჩაატარეს. პარალელურად, საჭირო თანხების მოძიება სცადეს: ნანა ტოხვაძე სამჯერ ჩამოვიდა საქართველოში და ყველა შესაბამისი უწყების ხელმძღვანელს შეხვდა. განათლების, დიასპორისა და სპორტის მინისტრებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვა — მიუხედავად იმისა, რომ ქართული მთავრობის წარმომადგენლებს აქვთ სურვილი, დაეხმარონ ქართულ სკოლას ათენში, მათ ამის საშუალებას არ აძლევს ქართული კანონმდებლობა, რომელიც ბიუჯეტის საზღვრებს გარეთ ხარჯვას კრძალავს. **„ჩვენი სკოლის ბედით განსაკუთრებით დაინტერესდა განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, მაგრამ რადგან ქართული კანონმდებლობა მას არ აძლევს საშუალებას ფინანსურად დაგვეხმაროს, დაგვპირდა, რომ სახელმძღვანელოებითა და ინვენტარით მოგვამარაგებს“,** — ქალბატონ ნანას იმედი აქვს, რომ სამინისტრო ამ დანაპირებს შეასრულებს, თუმცა აქაც ჩნდება ერთი პრობლემა — ტრანსპორტირების ხარჯის გაწევა, საბერძნეთში მცხოვრებ ემიგრანტებს არ შეუძლიათ. დახმარებისთვის ნანა ტოხვაძემ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებაც სცადა. კანცელარიაში არაერთი წერილი ჩააბარა, მაგრამ ისინი, როგორც ხდება ხოლმე, განათლებისა და დიასპორის სამინისტროებში გადაამისამართეს. ნანა ტოხვაძეს იმედი აქვს, რომ პრემიერამდე ინფორმაციას ის მინისტრები მიიტანდნენ, რომლებიც ათენში ქართული სკოლის გახსნისა და მისი პრობლემების შესახებ საქმის კურსში არიან.

წმინდა გიორგის სახელობის სკოლაში სასწავლო პროცესი მაინც მიმდინარეობს. გახსნიდან 2 კვირის თავზე, აქ უკვე 70 მოსწავლეა. მათ შორის არიან სკოლამდელი ასაკის, 4 წლის პატარებიც — ისინი, ვინც თამაშ-თამაშით ქართული უნდა ისწავლონ, რომ შემდეგ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება შეძლონ. სკოლაში ასწავლიან ყველა იმ საგანს, რასაც ქართული ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. უბრალოდ, დამატებულია ბერძნული ენა-ლიტერატურის გაკვეთილი, რადგან მშობელთა ნაწილმა უკვე თქვა კატეგორიული უარი შვილების, პარალელურად ბერძნულ სკოლაში ტარებაზე. **„საბედნიეროდ, გვყავს ყველა საგნის სპეციალისტი. პედაგოგების დიდმა ნაწილმა მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ, ზოგმა უფასოდაც განაცხადა თანხმობა, ცოდნა გაუზიარონ ქართველ ბავშვებს. ისინი ბავშვებს მშობლიურ ატმოსფეროს უქმნიან და ცდილობენ, მათთვის ყველაფერი ქართული იყოს ძალიან ახლობელი და რაც მთავარია, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ სამშობლოში დაბრუნება სურდეთ“,** — აცხადებს ქალბატონი ნანა და მადლიერებას გამოხატავს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკისა და საპატრიარქოს მიმართ. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელების თაოსნობით, აქცია მოეწყო, საქართველოს მოქალაქეებმა წიგნები გაუგზავნეს ქართველ ემიგრანტებს. თავად ბიბლიოთეკამაც გადასცა პირველკლასელებისთვის სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა სკოლას. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის „ქართული წიგნის კუთხე“ საბერძნეთში სწორედ ათენის წმინდა გიორგის სახელობის სკოლის ბიბლიოთეკაში მოეწყობა. სასულიერო წიგნები უსახსოვრა ქართველ ემიგრანტებს საპატრიარქომ. წიგნები სკოლის ბიბლიოთეკაშია განთავსებული და ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია, ეზიაროს მათ.

ნანა ტოხვაძის ინფორმაციით, შესაძლებელია, მალე საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილება შევიდეს და შესაბამის უწყებებს უფლება მიეცეს, ფინანსური დახმარებაც გაუწიონ უცხო ქვეყანაში არსებულ ქართულ სასწავლებლებს. მისი განმარტებით, საკანონმდებლო ორგანოში, დაახლოებით, 1 წლის წინ შეტანილმა პროექტმა „წმინდა გიორგის სახელობის ქართული სკოლა ათენში“ დეპუტატების დაინტერესება გამოიწვია, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გუბაზ სანიკიძე კი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს ამზადებს, რომელსაც პარლამენტი, სავარაუდოდ, ნოემბერში განიხილავს. მანამდე ქართველი ემიგრანტები, საჭირო თანხებს ბიზნესსექტორში ეძებენ: **„პროექტი წარვადგინეთ ქართუფონდში და დემოგრაფიული აღორძინების ფონდში. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ დემოგრაფიული აღორძინებისთვის ემიგრანტი ქართველი ბავშვები მნიშვნელოვანნი არ არიან და ამ ფონდიდან კულტურული უარი მივიღეთ. რაც შეეხება „ქართუს“, როგორც ვიცი, სავარაუდოდ, მიმდინარე თვეში გაიმართება კომისიის სხდომა, სადაც გადაწყდება, დაეხმარებიან თუ არა ქართულ სკოლას ათენში. იმედია, კანონშიც შევა შესაბამისი ცვლილებები. საბოლოოდ კი, ყველაფერი სტატუსის მონიჭებით დასრულდება და შევძლებთ, ათენში, შესაბამისი შენობის თავზე ქართული დროშა ავაფრიალოთ“.**

პრობლემებს ერთი უსიამოვნო ფაქტიც დაემატა, ბოროტი ენები ამბობენ, სკოლას სტატუსი არ აქვს, ხალხს ატყუებენო. თუმცა, ეს უსიამოვნო მითქმა-მოთქმა ყველაზე უმნიშვნელოდ მოგეჩვენებათ მას შემდეგ, რაც სკოლის Facebook-ის გვერდზე ემიგრანტების პოზიციებს გაეცნობით: **ეს სკოლა ყველა შესაბამისი ინსტანციის გავლის შემდეგ დაარსდა. თანხების მოძიების შემდეგ, სტატუსსაც მიიღებს. მანამდე კი, თანახმა ვართ, ჩვენმა შვილებმა „უსტატუსო“ სკოლაში იარონ, ჩვენთვის მთავარი ისაა, ისინი ქართულად ლაპარაკობდნენ, კითხულობდნენ, აზროვნებდნენ... ბედნიერება იქნება, თუ პატარა ქართველები მშობლიურ ენაზე ისწავლიან, თუნდაც ქაღალდომანიისა და ბიუროკრატიის გარეშე. ყველაზე მნიშვნელოვანი და სასურველი ისაა, ისინი ქართველებად აღიზარდონ.**

საზოგადოება

# ნოემბრიდან საპატრულო ჯარიმები ნახევრდება, ნასვამი მძღოლი კი, 200 ლარის ნაცვლად, 6 თვე მართვის უფლების ჩამორთმევით დაჯარიმდება

*მე-8 გვერდიდან*

ექსკლუზიურად „ვერსიისთვის“ განმარტებებს კანონპროექტის ავტორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოადგილე **ლევან იზორია** აკეთებს: **„ჯერჯერობით, კანონპროექტი მიღებული არაა. სავარაუდოდ, ნოემბერში დამტკიცდება. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატან ცვლილებებში ძირითადი 116-ე მუხლის I ნაწილია, რომელიც ნასვამ მძღოლს 200 ლარით აჯარიმებს. ამის შემდეგ კი მძღოლი ნახევარი წლით მართვის მოწმობის ჩამორთმევით დაისჯება. ამ კანონზე მუშაობისას, ამოსავალი წერტილი სტატისტიკა იყო. წარმოიდგინეთ, წელიწადში მარტო 40 000 ადამიანი ამ 116-ე მუხლის I ნაწილით ჯარიმდება — იქნებ, კანონის გამკაცრებამ მაინც შეცვალოს მძღოლების მიდგომა და დარღვევების რიცხვი შემცირდეს. გარდა ამისა, მართვის უფლების ჩამორთმევას ამიერიდან მართვის უფლების შეჩერება დაერქმევა, რადგან მძღოლს მის ასაღებად ხელახალი გამოცდის ჩაბარება აღარ მოუწევს. მეტიც, როცა ეს ინიციატივა კანონის სახეს მიიღებს, ვისაც მართვის უფლება უკვე ჩამორთმეული აქვს, გამოცდას აღარც ის ჩააბარებს. გეტყვით, რა იყო ჩვენი მოტივაცია — 40 000 დარღვევა წელიწადში, კატასტროფული მაჩვენებელია. ფაქტობრივად, ყველა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელიც მსხვერპლით სრულდება, მძღოლის სიმთვრალითაა გამოწვეული. აქცენტი ფისკალურ ეფექტზე რომ გაგვეკეთებინა, ფულად ჯარიმას გავზრდიდით, თუმცა ჩვენი მიზანი, თავად ნასვამი ადამიანისა და სხვა მოქალაქეების სიცოცხლის გადარჩენაა. სწორედ ამიტომ მკაცრდება ეს სანქცია. სხვა ქვეყნებში მიდგომა იმდენად მკაცრია, ჩვენ ლიბერალური გამოსავალი მოვძებნეთ — ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ამერიკაში ამ დარღვევაზე პირდაპირ პატიმრობაა. შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არათუ იცნობს ამ ინიციატივას, არამედ ეს მისი პირდაპირი დავალება, მინისტრის ხედვა და მისი პოლიტიკის გატარებაა. კანონის დამტკიცების შემდეგ ვითარების ანალიზს დავიწყებთ და ჯარიმის გამკაცრება სასურველ შედეგს თუ ვერ გამოიღებს, შესაძლოა, ნასვამ მძღოლებს მართვის მოწმობა პირველივე ჯერზე ნახევარი კი არა, 1 წლით ჩამოვართვათ! გარდა ამისა, პრიორიტეტულია სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნაც, რომელიც იმ სამედიცინო დაწესებულებათა ნუსხას განსაზღვრავს რეგიონების მიხედვით, სადაც მძღოლს ალტერნატიული შემოწმების გავლა და იმის დამტკიცება შეუძლია, რომ ნასვამი არაა. რაკი სანქციები მკაცრდება, მოქალაქეს 2 საათის მანძილზე საკუთარი სიმართლის დამტკიცების უფლებაც აქვს. აქამდე ძველი ალკოტესტები გვქონდა. დღეს ბევრად მაღალი სტანდარტია დამკვიდრებული და ცდომილებაც მინიმუმამდეა დაყვანილი, მაგრამ ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავი ამ მცირე ცდომილებისგანაც დაიზღვიოს. დღეს ასეთი დაწესებულებათა ნუსხა არ არსებობს. ამ საკითხსაც უახლოეს მომავალში დავამუშავებთ!“**

## სახელმწიფო ბიუჯეტი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი 94 მილიონი ლარით გაიზარდა

**2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი 9 009 000 000 ლარით განისაზღვრა. აქედან საბიუჯეტო სახსრები 8 269 000 000, ხოლო გრანტები 110 000 000 ლარს შეადგენს. ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, დაფინანსება ეზრდება მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებს. „ვერსიაში“ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი დეტალურად განვიხილეთ. ამჯერად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტს განვიხილავთ, რომლის დაფინანსება 94 300 000 ლარით გაიზარდა და მთლიანობაში, 764 300 000 ლარით განისაზღვრა.**

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხები სხვადასხვა პროგრამებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე ასე გადანაწილდა: სკოლების ვაუჩერული დაფინანსებისთვის ბიუჯეტში გამოყოფილია 410 000 000 ლარი; საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მათი აღჭურვისთვის — 90 000 000, საჯარო სკოლების პირველკლასელების კომპიუტერებით უზრუნველყოფისთვის — 22 000 000, მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისთვის — 9 000 000 ლარი. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 000 000 ლარზე მეტი დაიხარჯება სოფლად მცხოვრები იმ მოსწავლეების ავტობუსით უზრუნველყოფისთვის, რომლებსაც სკოლაში მისასვლელად შორი მანძილის გავლა უწევთ.

მომდევნო წლებში, 26 ახალი პროფესიული სასწავლებლის დაფუძნება იგეგმება, რისთვისაც მათი დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები იზრდება და 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 23 700 000 ლარს შეადგენს. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისთვის, ბიუჯეტიდან გამოყოფილია 38 400 000, სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო და დოქტორანტურის პროგრამების დასაფინანსებლად კი — 76 200 000 ლარი.

### 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, პედაგოგების ხელფასები ეტაპობრივად გაიზრდება



სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ განათლების სისტემა საყოველთაოდ აღიარებულ და თანამედროვე სტანდარტებს დაეფუძნება — გარანტირებული იქნება უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის მაღალი დონე; შეიქმნება განათლების სისტემის ეფექტური მართვის მექანიზმები, შემუშავდება საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიული გეგმების შედგენისა და საქმიანობის ანგარიშის მომზადების ერთიანი მეთოდოლოგიები, განხორციელდება განათლების სისტემის ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, დაიხვეწება განათლების დაფინანსების მექანიზმები და განათლების ხელმისაწვდომობა. ამაღლდება განათლების ხარისხი, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალი; გაგრძელდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და მშენებლობა, განვითარდება პროფესიული სასწავლებლების ინფრასტრუქტურა.

ბავშვები მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან უზრუნველყოფილნი იქნებიან სასკოლო სახელმძღვანელოებით. პირველკლასელებსა და ფრიადოსნებს (საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულები) პერსონალურ კომპიუტერებს კვლავაც გადასცემენ. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, პედაგოგთა ხელფასები ეტაპობრივად გაიზრდება. რაც მთავარია, სახელმწიფო ხელს შეუწყობს, რომ წარმატებულმა სტუდენტებმა მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში ისწავლონ. სწავლებისა და ცხოვრების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფენ.

2014 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სამეცნიერო ინფრასტრუქტურა განვითარდება, კვლევების ხარისხი ამაღლდება, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კი ახალგაზრდობა ჩაერთვება. მეცნიერების სფეროში შეიქმნება შედეგზე ორიენტირებული საგრანტო დაფინანსების სისტემა, სახელმწიფო ხელს შეუწყობს ქართული მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში. მეცნიერების სისტემა უკვე არსებულ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პოტენციალს დაეფუძნება. ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ნიჭიერი ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა იქნება, განსაკუთრებული ყურადღება კი მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზებას დაეთმობა, რაც აუცილებელი წინაპირობაა, შრომის ბაზრის მაღალკვალიფიციური, ადგილობრივი მუშახელით უზრუნველყოფისთვის. თავის მხრივ, ასეთი მიდგომა დიდ გავლენას მოახდენს უმუშევრობის დონის შემცირებაზე. უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის მიზნით, მნიშვნელოვანი იქნება პროფესიული გადამზადების სისტემის დახვეწა და ეფექტურად გამოყენება.

სახელმწიფო ხელოვნების დარგებში განათლების მიღების შესაძლებლობების მხარდაჭერას კვლავაც განაგრძობს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამხედრო განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის განვითარება და ნატო-ს სტანდარტების დონის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბება კი სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი გახდება. სახელმწიფო უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეების მიერ, თანამედროვე პროფესიებისა და უნარ-ჩვევების დაუფლებას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტი ზოგადი განათლებაა, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება. სახელმწიფო ხელს შეუწყობს, რათა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩაერთოს. პრიორიტეტულია ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავებისა და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება; სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების საშუალებით, ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა; საქართველოს ქართულენოვანი საჯარო სკოლების ყველა კლასისა და არაქართულენოვანი საჯარო სკოლების I-VI კლასის მოსწავლისათვის, ასევე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების უფასოდ გაცემა; ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა; საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება; საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის 3-კვირიანი ინგლისური ენის საზაფხულო სკოლების მოწყობა საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოში.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობა. პროფესიული განათლების კურსების საშუალებით, სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულები, როგორც სრულწლოვნები, ასევე — არასრულწლოვნები, სხვადასხვა პროფესიას დაეუფლებიან.

## ღატაკი საქართველო

# საცხოვრებლად შეუსაბამო პირობებში მყოფი ოჯახი სარეიტინგო 150 ათასი ქულით

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

**გურიანთაში, ერთ-ერთ უბანში, სადაც მაღალმთიანი აჭარიდან წლების წინ ჩამოსახლებული 20-მდე ოჯახი ცხოვრობს, რამდენიმეს მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვს, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში კი დიმიტრაძეების ორსულიანი ოჯახია. დედა-შვილი — თინა კილაძე და ზურაბ დიმიტრაძე მხოლოდ ღვთისა და კეთილი ადამიანების იმედადაა, მათი საცხოვრებელი სახლი ავარიულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოჯახს სოციალური დახმარება არ დაენიშნა და შემწეობა არც ადგილობრივი ხელისუფლებისგან მიუღია.**

ადგილზე მისულებს ნახევრადდაშლილი სახლი სახურავგადახდილი დაგვხვდა. როგორც გვითხრეს, საყრდენი ბოძები რომ არ გამოეცვალათ, ამ ზამთარს ვერ გაუძლებდა. **„მეზობლებმა ავუგროვეთ ფული და ვუყიდეთ საჭირო მასალა, მაგრამ ისევ ძველი შიფერით უნდა დაიხუროს, სხვა გზა არ გვაქვს. დღეს ისეთი ცხოვრებაა, თავი ძლივს გაგვაქვს, ხელისუფლებას კი ხალხისთვის არ სცალია, თორემ ასეთ გაჭირვებულ ოჯახს, სოფელი რომ შემოიაროთ, მეორეს ვერ ნახავთ“,** — აცხადებენ დიმიტრაძეებთან დასახმარებლად მისული მეზობლები.

სარეიტინგო ქულა 150 000 აქვთ, დიმიტრაძეების ქონება ერთსართულიანი ფიცრულისგან და სამი ოთახისგან შემდგარი საცხოვრებელია, რომლის კედლებიც, ჭერიცა და იატაკიც ერთნაირად ავარიულია.

ავეჯი, როგორც თავად უწოდებენ, „გაცვეთილი და ბაბასდროინდელია“. ერთადერთი, რაც თვალში თანამედროვე მოგხვდებათ, მაცივარია, რომელიც ოჯახის უფროსის — თინა კილაძის თქმით, შვილიშვილებმა შეუძინეს: **„30-30 ლარი შეაგროვეს ბავშვებმა და ეს მაცივარი მიყიდეს. რომ შემოვიდა აგენტი, პირველი ამას დაუწყო ყურება და მშვენიერი მაცივარი შეგიძენიათო, მითხრა. იმას ვერ უნდა მიხვდეს ადამიანი, როცა ჭერი ჩამონგრეული მაქვს, მაცივრის ფულს ვერ მოვიტოვებდი? რომ ვუთხარი, შვილიშვილების საჩუქარია-მეთქი — თუ ასეთ საჩუქრებს გიკეთებენ, ისედაც დაგეხმარებიანო, მიპასუხა. 5 შვილი მყავს, 4 გოგო და ეს ერთი ბიჭი, გოგოებს ოჯახები აქვთ და თავი გასჭირვებიათ, მე როგორ უნდა დამეხმარონ? 150 ათასი ქულა მომანიჭეს, ეს სასაცილოც კი არ არის უკვე. ქმარი 4 წელი ლოგინად მყავდა ჩავარდნილი, მისი პენსია მარტო წამლებზე არ მყოფნიდა. აგენტს ეხვეწა, იქნებ დაგვეხმაროთ, ხომ ხედავთ, რა დღეში ვართო, მაგრამ ვის აინტერესებს სხვისი გასაჭირი?!“**

როგორც დიასახლისი გვიამბობს, ოჯახს სოციალური დახმარება პირველად ორი წლის წინ დაენიშნა, მაგრამ ზუსტად 9 თვეში, მიმდინარე წლის აპრილში მოუხსნეს. ამის შემდეგ სოციალურ სააგენტოში შეტანილი ხელახალი განცხადების შემდეგ დიმიტრაძეები უმაღლესი სარეიტინგო ქულით შეაფასეს.

როგორც ზურაბ დიმიტრაძე „ვერსიასთან“ აცხადებს, 6 წელია ჯანმრთელობა შერყეული აქვს და ოპერაცია სჭირდება, მაგრამ მიღებული ქულების გამო, სამედიცინო დაზღვევაც არ მისცეს: **„კუჭი მაწუხებს, ექიმს რომ გავესინჯე, საოპერაციო ხარო, მითხრა. მდგომარეობა დღითიდღე მირთულდება. დედაჩემსაც გული აწუხებს და წამალსაც ვერ ვყიდულობთ, ერთადერთი, რითიც ვარსებობთ, დედას პენსიაა. რამდენად უნდა გაანაწილო ეს თანხა? დადის 70 წლის ქალი, ხან სოფლის რწმუნებულთან, ხან გამგებელთან, გუბერნატორთანაც კი იყო, მაგრამ რა, მერე?“**

ოჯახს, დიასახლისის პენსიის გარდა, სხვა შემოსავალი არ გააჩნია. არც ეზოში ჩანს რამე, გარდა ერთი ძროხისა, რამდენიმე ძირი ხილისა და თხილისა, რომლისგან მიღებული მოსავალი ერთ თვესაც კი ვერ გაგატანინებს თავს: **„არც ქათმები გვყავს, არც სხვა საქონელი, გარდა ერთი ძროხისა. აგენტმა ბოსელიც მოინახულა და სამარცხვინო რამ მითხრა — აქაურობა ერთი ძროხის სადგომს არ ჰგავსო. ვერ ვწმენდთ ყოველდღე და ამაზეც თუ რამეს მეტყოდნენ, ვერ წარმოვიდგენდი“.**

ამბობენ, არც გამგეობისგან მიუღიათ რაიმე სახის დახმარება და არც სოფლის ხელმძღვანელობისგან, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში დიმიტრაძეების ოჯახი ერთ-ერთ ყველაზე მძიმე სოციალურ პირობებშია: **„სოფლის ხელმძღვანელობამ კი იცის ჩვენი გასაჭირი, მაგრამ დახმარება არ გაუწევიათ, არც არავინ დაგვპირებია რამეს. 45 წლის კაცი ვარ და იმ მდგომარეობამდე ვარ, სადმე წასვლა რომ მოვახერხო, აქეთ აღარც მოვიხედავდი“.**

როგორც „ვერსიას“ გურიანთას ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულის ადმინისტრაციაში განუცხადეს, დიმიტრაძეების გასაჭირის თაობაზე მათ მუნიციპალიტეტის გამგეობას სამჯერ მიმართეს წერილობით. სოფლის რწმუნებული კი დიმიტრაძეების პრეტენზიებს, რომ მათ სოფლის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ აქცევს, არ ეთანხმება: **„ვცდილობ, მაქსიმალურად დავეხმარო. გამგებელსაც მივმართე წერილობით და სოციალურ სააგენტოსაც. რამდენიმე დღეში ველოდებით პასუხს და ვნახოთ, რამდენ ქულას მიანიჭებენ“.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე დიმიტრაძეების პრობლემებზე მასთან შესული წერილების თაობაზე გვპასუხობს: **„ამჟამად კომისია სწავლობს მათ პრობლემას, რის საფუძველზეც გადაწყდება დახმარების საკითხი“.** სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის მოადგილე ვანო გოგოლაშვილი განმარტავს, რომ დიმიტრაძეების მიერ განცხადების შემოტანიდან ერთი წელი გავიდა და 18 ოქტომბრიდან ოჯახის შესწავლის კანონიერი უფლება ენიჭებათ: **„18-ში ერთი წელი გადის დიმიტრაძეების ოჯახის შესწავლიდან, ახალი განაცხადის შეტანის შემდეგ, აგენტი კვლავ მივა მათთან და მონაცემებს მიაწვდის საერთო ბაზას“.**

# ალიევების დინასტიური დემოკრატია აზერბაიჯანში

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

## ილჰამ ალიევის 5 მილიარდისა და 2 ათასი ფეშენებელური ვილის საიდუმლო



*რატომ ეძახიან „ფლეიბოის“, რატომ აკრძალა კაზინოები და როდის იგინება აზერბაიჯანის პრეზიდენტი?*

**„ვის ირჩევთ პრეზიდენტად?“ — რამდენიმე დღის წინ ამ ერთადერთი კითხვით, აზერბაიჯანის მოსახლეობას საერთაშორისო ჟურნალისტებმა მიმართეს. უმრავლესობის პასუხი ასეთი იყო: „რა თქმა უნდა, ჩვენ ილჰამს!“ ამ ფონზე, არავის გაუკვირდა, რომ აზერბაიჯანში, 9 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ქვეყნის პირველ პირად კვლავ ალიევი აირჩიეს. მიუხედავად ამისა, მაინც გაჩნდა ეჭვი, რომ არჩევნებმა ხარვეზებით ჩაიარა, ხალხს კი, პოზიციის საჯაროდ გამოხატვის, ეშინია. ალიევის მთავარი კონკურენტი შედეგებს აპროტესტებს და აქციებსაც აწყობს. ერთ-ერთი გამოსვლის დროს, შეხლა-შემოხლაც მოხდა. დაძაბული ფონის მიუხედავად, ალიევი გამარჯვებას ზეიმობს... რამდენიმე წლის წინ, როცა აზერბაიჯანის ახალადარჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, ჩემთვის პრიორიტეტი მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებააო, უპირველესად, ალბათ, საქართველოს გულისხმობდა; იგი პატივს სცემს ჩვენს ტრადიციებს, ბუნებას, კულტურასა და სახელგანთქმულ მწვადს; ზოგი მისი პოპულარობის თილისმად მამას, დიდ ჰეიდარ ალიევს მიიჩნევს, ზოგი კი — უმშვენიერეს მეორე ნახევარს. ასეა თუ ისე, ილჰამ ალიევი წარმატებული და პოპულარული პრეზიდენტია, რომელიც მეზობელ აზერბაიჯანს 2003 წლიდან მართავს.**

### გენერლობაზე მეოცნებე

ილჰამ ჰეიდარ ოღლი ალიევი 1961 წლის 24 დეკემბერს, ქალაქ ბაქოში, ისტორიკოსის, პედაგოგის, აზერბაიჯანის კა-გე-ბე-ს მომავალი ხელმძღვანელისა და პრეზიდენტის ოჯახში დაიბადა. დედა — ზარიფა ალიევა ქირურგი-ოფთალმოლოგი გახლდათ, რომელიც პროფესიონალიზმთან ერთად, სილამაზითაც იყო განთქმული. ზარიფა მაშინ გარდაიცვალა, როცა ოჯახი მოსკოვში ცხოვრობდა, ამიტომ იგი ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, ლეგენდარული მუსლიმ მაგომაევის სიმღერის თანხლებით დაკრძალეს. ილჰამი იმხანად 24 წლის იყო. დედის სიკვდილმა ის და მისი და სევილი დეპრესიაში ჩააგდო, მაგრამ, როგორც თავად ამბობენ, „იპოვეს ძალა, რომელმაც ცხოვრების გაგრძელებისკენ უბიძგა“.

ალიევების ოჯახის მთავარი მიზანი შვილებისთვის უმაღლესი განათლების მიცემა იყო. ბავშვებმაც კარგად იცოდნენ, რომ „ცხოვრებას მხოლოდ სწავლით აიწყობდნენ“. სევილმა არაბული ენის შესწავლა გადაწყვიტა, ცნობილი არაბისტი გახდა, სათავეში ქალთა საზოგადოებას — „სევილი“ ჩაუდგა და ცოლად ნასწავლ კაცს გაჰყვა, რომელიც ჯერ დიდ ბრიტანეთში აზერბაიჯანის ელჩი იყო, შემდეგ კი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. ამბობენ, რომ მექალთანე ჰეიდარ ალიევს, ილჰამისა და სევილის გარდა, უკანონო შვილებიც ჰყავდა და ერთ-ერთი მათგანი, თურმე, აზერბაიჯანის ვიცე-სპიკერი აფიედინა ჯალილოვა იყო, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოკლეს. აფიედინასა და ილჰამს ძმობა საჯაროდ არასოდეს შეუფიცავ, მაგრამ მათ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ და, როგორც კულუარებში ამბობენ, მარტო დარჩენილები ერთმანეთს ერთგული და საყვარელი ძმებივით ექცეოდნენ.

ილჰამი ცელქი და მოუსვენარი ბავშვი ყოფილა. მეზობელ ბიჭებთან ხშირად „ომობანას“, „პარტიზანობანას“ თამაშობდა და, გენერალი მამის შემხედვარე, გენერლობაზე ოცნებობდა. ბაქოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტში განაგრძო, ასპირანტურაც დაამთავრა და ისტორიის მეცნიერების კანდიდატის ხარისხიც მიიღო. სტუდენტობისას ასეთი ინციდენტი შეემთხვა: ლეონიდ ზამიატინი აზერბაიჯანის კომპარტიის ლიდერის ვაჟს „საერთაშორისო ურთიერთობებში“ დამაკმაყოფილებელ ნიშანსაც არ უწერდა და საქმეში, როგორც ამბობენ, ევგენი პრიმაკოვი ჩაერია, რის შემდეგაც ბიჭს კარგი ნიშანი დაუწერეს.

1991-1994 წლებში ილჰამმა სამეცნიერო მოღვაწეობას თავი დაანება და მოსკოვსა და სტამბოლში ხელი კომერციულ საქმიანობას მიჰყო. 1994 წელს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პირველ ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, ერთი წლის შემდეგ კი პოლიტიკაში მოვიდა — აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატი გახდა. 1999 წლის დეკემბერში მმართველი პარტიის — „იენი აზერბაიჯანის“ („ახალი აზერბაიჯანი“) თავმჯდომარის მოადგილედ, 2001 წელს კი პირველ მოადგილედ აირჩიეს. „პრეზიდენტობის რეპეტიცია“ აზერბაიჯანის ნაციონალურ ოლიმპიურ კომიტეტში გაიარა, რომელსაც სათავეში 1997 წელს ჩაუდგა და, სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ორდენითაც დააჯილდოვეს. ზოგადად, ჯილდო, სიგელი და მედალი უხვად აქვს. 2009 წელს კი, შევიდა წიგნში, „მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი 500 მუსულმანი“.

### აზერბაიჯანის დინასტიური დემოკრატია

2003 წლის აგვისტოში აზერბაიჯანის მილი მეჯლისმა ილჰამ ალიევი პრემიერ-მინისტრად აირჩია. ეს ნიშნავდა, რომ ჰეიდარ ალიევი ვაჟს მემკვიდრედ ამზადებდა და ქვეყანას ლანგრით მიართმევდა. სხვათა შორის, ჰეიდარი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ილჰამი ძალიან პატარა იყო, ხუმრობდა, ჩვენი უთავბოლო ბავშვი პრეზიდენტი გახდებაო. ასეც მოხდა: მამა-ალიევმა, ჯანმრთელობის გაუარესების საბაბით, 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და ტრიბუნასთან ადგილი ვაჟს დაუთმო. საპრეზიდენტო არჩევნებში ილჰამ ალიევის გამარჯვებას პოლიტოლოგები ასე ხსნიან: ქვეყნის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა, რომ ილჰამს ღირსეული და ძლიერი კონკურენტი არ ჰყოლოდა. აზერბაიჯანში არჩევნები „გაითამაშეს“ ანუ არჩევნები, პრინციპში, არ ჩატარებულა, ამიტომ აზერბაიჯანის 2003 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ასე მონათლეს — „არჩევნები არჩევნების გარეშე!“ ისე, ჰეიდარ ალიევი თითქმის მთელი აზერბაიჯანისთვის კერპი იყო და მისმა თაყვანისმცემლებმა მხარი მის შვილს დაუჭირეს. ილჰამის წარმატების საიდუმლო ჰეიდარია! მოკლედ, 2003 წლის 31 ოქტომბერს ილჰამ ალიევი, ამომრჩეველთა 76%-ის წყალობით, პრეზიდენტი გახდა. ასე დაიწყო აზერბაიჯანში დინასტიური დემოკრატია!

ამის შემდეგ ილჰამ ალიევი ქვეყნის სათავეშია და 2013 წლის 9 ოქტომბერს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებშიც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. დეპარტამენტის პრესმდივნის, მერი ჰაფმანის განცხადებით, გამოვლინდა ბიულეტენების მასობრივი ჩაყრის შემთხვევები, სერიოზული პრობლემები იყო ხმების დათვლის პროცესშიც...



თუმცა, ისიც თქვეს, რომ არჩევნებში 10 კანდიდატის მონაწილეობა, ქვეყანაში პოლიტიკურ მრავალფეროვნებაზე მეტყველებს.

შეიქმნა კურიოზული ვითარებაც: არჩევნებამდე 1 დღით ადრე, აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სმარტფონებზე განთავსდა არჩევნების შედეგები, რომლის თანახმად, ალიევი ხმათა 72%-ს აგროვებდა. მოგვიანებით, კომისიამ ბოდიში მოიხადა, განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი საარჩევნო უბნის მონაცემები, სადაც კომპიუტერის პროგრამისტმა არჩევნები საცდელად ჩაატარა. ამის შემდეგ, აღარავის გაკვირვებია, რომ გაჩნდა ეჭვი — აზერბაიჯანში არჩევნები ტრადიციულად „გაითამაშეს“ და დინასტიური მმართველობა გრძელდება!

### „აზერბაიჯანს მიცვალებული მართავს!“

ილჰამის მთავარი პოლიტიკური პრობლემა ისაა, რომ მამის ჩრდილს ანუ, როგორც პოლიტოლოგები ამბობენ, „შემზარავ შეგრძნებას“ თავს, ალბათ, ვერასოდეს დააღწევს. ხალხს ისიც უყვარს, მაგრამ ადგილობრივებს შინ მაინც ჰეიდარის პორტრეტები უკიდიათ. ბაქოს მთავარი ავტომაგისტრალი, აეროპორტი, საკონცერტო დარბაზი, უამრავი ქუჩა და დაწესებულება „დიდი ჰეიდარის“ სახელს ატარებს, ბაქოს ცენტრს კი ჰეიდარ ალიევის 12-მეტრიანი ბრინჯაოს მონუმენტი ამშვენებს, რომელსაც მარჯვენა ხელი ჰაერში აქვს აღმართული, თითქოს ხალხს სწორ მიმართულებას აძლევს და ასეც არის — ქვეყანა კვლავ იმ კურსს ადგას, რომელიც ჰეიდარმა აირჩია. „მამამ დამიბარა, როგორ უნდა ვმართო აზერბაიჯანი“, — ამბობს ალიევი-უმცროსი, რომელიც ხშირად იმეორებს საყვარელ ფრაზას — „ჩვენ ჰეიდარის გზას მივყვებით!“

ჰეიდარის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამდე, ილჰამს გამოუსწორებელი მექალთანის სახელი ჰქონდა, აზარტული მოთამაშეც გახლდათ და კაზინოებს ხშირად სტუმრობდა, მაგრამ პრეზიდენტი გახდა თუ არა, აზერბაიჯანში კაზინოები აკრძალა. მეჩვენება, რომ მთელი ცხოვრება ვთამაშობ, — აღიარებს აზერბაიჯანის პრეზიდენტი. პოლიტიკური თამაშები კი, მამის ავადმყოფობის შემდეგ დაიწყო — სერიოზული პოლიტიკოსის იმიჯი შეიქმნა და საზოგადოებას აუწყა, რომ მისი მიზანი მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაა.

ილჰამი, ერთი შეხედვით, არარადიკალური, დინჯი, მშვიდი და აუღელვებელია, მაგრამ არც გაბედულება და უხეშობა აკლია. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ საქვეყნოდ განაცხადა, რასულ გულიევი საერთაშორისო მაფიის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და მის საქმიანობას მხოლოდ აზერბაიჯანში კი არა, სხვა ქვეყნებშიც იცნობენო. ამ განცხადებით ბევრი მტერი გაიჩინა, ერთ-ერთი მთავარი მტერი კი აზერბაიჯანში ევროსაბჭოს წარმომადგენელი ანდრეა გროსი იყო, რომელმაც მისი მართვის სტილი და გარემოცვა მაღალი ტრიბუნიდან ერთხელ გააკრიტიკა. ამის გამო ალიევი უმართავი გახდა — ფეხზე წამოხტა და გროსის აზერბაიჯანიდან გაწვევა მოითხოვა. მისი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

დიდი ჰეიდარის ვაჟს ოფიციალური ცერემონიები უყვარს, თუმცა ერთი უცნაურობა სჭირს — შეუძლია, უცხოელებთან დაგეგმილი შეხვედრები თავის გარემოცვაში „აღნიშნოს“. შვეიცარიის ელჩთან ოფიციალური შეხვედრისთვის ალიევი თითქმის ორ კვირას ემზადებოდა. ელჩის გამოჩენამდე რამდენიმე საათიღა რჩებოდა, მაგრამ მას მოთმინების ფიალა აევსო, გარემოცვასთან ერთად მოილხინა და ელჩს აუღელვებლად განუცხადა: **„და პაშოლ ტი ნა...“**

აზერბაიჯანის პრეზიდენტზე კომპრომატები თითქმის არ არსებობს, თუმცა იმხანად, როცა აზერბაიჯანში ხალხი შიმშილობდა, ხმა გავარდა, ილჰამი საზღვარგარეთის ბანკებში 5 მილიარდს ინახავს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გარემოცვასთან ერთად, 2 ათასზე მეტი ფეშენებელური ვილა შეიძინაო. მართალია, ეს სკანდალი მიჩუმათდა, მაგრამ ექსპერტების აზრით, ის ფული, რაც ილჰამმა და მამამისმა იშოვეს, ჭკვიანმა ძალამ, შესაძლოა, ალიევების დინასტიის წინააღმდეგ გამოიყენოს.

*დასასრული მე-12 გვერდზე*

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# კბილების გარეშე დარჩენილი პროექტი „ღიმილიანი საქართველო“

**პრეზიდენტ სააკაშვილის პროექტი „ღიმილიანი საქართველო“ აღარ გაგრძელდება. როგორც ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აღნიშნავს, ქვეყანაში უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი, ვიდრე ორთოპედია-სტომატოლოგიური პროექტი „ღიმილიანი საქართველო“. მინისტრის ინფორმაციით, წინა ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნოდ დაწყებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც რეგიონების მოსახლეობას უფასოდ უკეთებდნენ კბილების პროთეზს, აღარ გაგრძელდება.**
**არსებული ინფორმაციით, მოსახლეობის ნაწილმა მოასწრო პროთეზის უფასოდ ჩასმა, ნაწილი კი უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდან ამ პროექტის ფარგლებში, პროთეზის მორგებამდე მათ კბილები ამოუღეს, არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ კი პროექტი გაჩერდა, რის გამოც, ისინი კბილებისა და პროთეზის გარეშე დარჩნენ. ამ თემაზე „ვერსია“ ა/ო „გვახსოვდეს ჰიპოკრატეს“ ხელმძღვანელს, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრ მარინა ბერაძეს ესაუბრება.**



— სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ეს პროგრამა ახალ ხელისუფლებას არ შეუწყვეტია — ეს ჯერ კიდევ წინა მმართველობისას მოხდა. სააკაშვილის მთავრობას სისტემურად ყველაფერი პიარზე ჰქონდა აგებული, დღევანდელმა ხელისუფლებამ კი უნდა აჩვენოს, რომ გაცილებით უკეთაა მომზადებული და პრობლემების გადაწყვეტისას, პირველ რიგში, მოსახლეობის ინტერესების, სამართლიანობის მოთხოვნის დაცვით მოქმედებს, ამიტომ სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ პროგრამის დაუსრულებლობა ალოგიკურია — ეს ხალხი შუა გზაში მიტოვებული დარჩა. საინტერესოა, რით საბუთდება, რომ ეს პროგრამა საჭირო არ არის? კვლევა ჩატარდა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი გამოკითხეს და მიხვდნენ, რომ დაფინანსება არ სჭირდება? საერთოდ, როგორ იღებენ ასეთ საკითხებში გადაწყვეტილებებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

„ღიმილიანი საქართველოს“ პროგრამა წინა ხელისუფლებამ წამოიწყო, თუმცა უცნობია, რა მოტივები ამოძრავებდა. უშუალოდ, პრეზიდენტის ინიციატივა, როგორც დანარჩენი ღონისძიებები, მხოლოდ და მხოლოდ პიარს ემსახურებოდა და ამის თქმა ცალსახად შეიძლება — არანაირი დასაბუთება, რის საფუძველზე გახდა საჭირო ამ პროგრამის შემოტანა, არ გვაქვს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტს არ მოსწონდა თავისი მომხრეების იერი და გადაწყვიტა, მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. აქტიური შეხვედრები როცა ჰქონდა რეგიონებში შეჭირვებულ მოსახლეობასთან, გადახედა და თაყვანისმცემლები არ მოეწონა... ასეთი აზრი გამიჩნდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, პროგრამა არსებობდა და სამუშაოც დაწყებული იყო.

**— როგორ მიმდინარეობდა ეს პროექტი?**

— მობილური ხასიათი ჰქონდა — სამარშრუტო ტაქსები დადიოდნენ პატარა კლინიკის სახით და იქ, როგორც თვითონ ამბობდნენ, დილის 10-დან ღამის 11 საათამდე მუშაობდნენ. რასაკვირველია, ამ სამუშაოს შესრულებისთვის მსგავსი პირობები მიუღებელია, მაგრამ მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა სწრაფი მომსახურებით ისარგებლა და შემდგომი პროთეზირებისთვის კბილების ექსტრაქცია (მომზადება) მოახდინა. შემდეგ, პროგრამა შეჩერდა და ეს ადამიანები დაზარალდნენ: რაც ჰქონდათ, ის კბილებიც დაკარგეს და სანაცვლოდ არაფერი მიუღიათ.

**— მაინც რამდენმა ადამიანმა ისარგებლა ამ სერვისით და რამდენმა ვერ მოასწრო მკურნალობის დასრულება?**

— ეს მონაცემები ჯანდაცვის სამინისტროს ექნება... მკურნალობა საკმაოდ ბევრმა ვერ დაისრულა, რადგან რეალურად, პროგრამა შუა გზაში შეწყდა. პროცენტულ მაჩვენებელზე ნამდვილად ვერაფერს გეტყვით, სპეციალური კვლევა არ ჩატარებულა. რაც შეეხება ჯანდაცვის მინისტრის განცხადებას, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები გვაქვს და




ეს ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენსო, არასწორი და არაჰუმანური მიდგომაა. ახალი ბიუჯეტის ფონზე, რომელიც ორჯერ და მეტადაც გაზრდილია, ამ პროგრამის დასრულება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს; წინასაარჩევნოდ, პოლიტიკურადაც გაუმართლებელია ამ ხალხის იგნორირება — აქ დარღვეულია სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის პრინციპი. სტატისტიკა უნდა გადაიხედოს, რამდენმა ადამიანმა დაიწყო ამ პროგრამით მკურნალობა, რამდენმა ვერ შეძლო კურსის დასრულება და მათ ბოლომდე უნდა მოვემსახუროთ. ეს ბიუჯეტს დიდ დარტყმას ნამდვილად არ მიაყენებს.

**— ამ პირობებში, რა გზა რჩება მათ, ვინც მომსახურების გარეშე დარჩა?**

— ამ საკითხში მათი უფლებების დამცავი ინსტიტუცია არ არსებობს. შეიცვალა ხელისუფლება, ახალი მთავრობა წინას დაწყებულ საქმეზე პასუხისმგებლობას არ იღებს და ამით მთავრდება ყველაფერი, არადა ეს ადამიანები ვერ ახერხებდნენ სტომატოლოგთან მისვლას, მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა მოქმედებს და სხვა პრობლემები, ასე თუ ისე, გადაწყვეტილია. სტომოტოლოგიურ დახმარებასთან დაკავშირებით კი, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა... გასაგებია, ასეთ დახმარებას თავისი სპეციფიკა აქვს და სხვა რეგულაცია სჭირდება, მაგრამ ხელმისაწვდომობა აშკარად შეზღუდულია, განსაკუთრებით ამ კატეგორიის ადამიანებისთვის, ვინც უმწეო მდგომარეობაშია; ამიტომ მათ მიმართ დამოკიდებულება ხაზგასმით ჰუმანური უნდა იყოს. რაც შეეხება სტომოტოლოგიას და ორთოპედიულ მიმართულებას, ამ დარგის სპეციალისტი ვარ და სფეროს ასეთი იგნორირება არ შეიძლება — სტომოტოლოგია ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვან, ერთ-ერთ წამყვან პრევენციულ დარგად მიიჩნევა, ასე რომ, თემას უფრო სხვა კვალიფიკაციით დამუშავება სჭირდება.

თუ ჩვენ აქცენტს პრევენციულ მედიცინაზე ვაკეთებთ, სტომოტოლოგიის გამორიცხვა არ შეიძლება; მეორე — როდესაც პროგრამას აღარ ვაგრძელებთ, ამით რა გამოდის, ხალხს ვსჯით? თან ყოველთვის უნდა ვეცადოთ, მოსახლეობაში ჯანდაცვის სისტემის მიმართ ნდობა გაიზარდოს. მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს, ხელისუფლებაში პეტრე პავლემ შეცვალა თუ ივანემ. ეს ინსტიტუცია ნდობის მატარებელი უნდა იყოს და ადამიანი დარწმუნებული, რომ შუა გზაში არ მიატოვებენ. ჰიპოკრატეს ცნებებზე დაფუძნებული მთავარი ეთიკური პრინციპი სწორედ ესაა — არ ავნო და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს ადამიანები არ დავაზარალოთ.



# ალიევების დინასტიური დემოკრატია აზერბაიჯანში



მე-11 გვერდიდან

## „ფლეიბოი“ ქმარი და ლამაზი ცოლი

აზერბაიჯანში ილჰამზე მეტად მისი ულამაზესი ცოლი მეხრიბან ალიევა უყვართ. ცოლ-ქმარს თითქმის იდენტური ბიოგრაფია აქვს: ორივე ძირძველი ბაქოელია. ორივე განათლებული ადამიანების ოჯახში დაიბადა, სადაც თავს ცნობილი ადამიანები იყრიდნენ. ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა 16 წლის მეხრიბანი სილამაზის კონკურსზე გამოდიოდა. ილჰამს იგი თავდავიწყებით შეუყვარდა. გულგრილი არც ქალი დარჩა და... 18 წლის მეხრიბანი ალიევების პოპულარული ოჯახის რძალი გახდა. მეხრიბანი, ქმრის მსგავსად, ინტიმურ თემებზე საუბარს თავს არიდებს, რადგან ეს „არასერიოზულად“ და „უინტერესოდ“ მიაჩნია.

მეხრიბან არიფ გიზი ალიევას (ფაშაევა) მამა — არიფ ფაშაევი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი და ბაქოს ნაციონალური ავიაციის აკადემიის რექტორი გახლდათ, დედა — აიდა იმანკულიევა ცნობილი ფილოლოგი და არაბისტი. 1982 წელს მეხრიბანმა ბაქოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, 23-ე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩააბარა. შემდეგ სწავლა მოსკოვის, ი. მ. სეჩენოვის სახელობის სამედიცინო აკადემიაში განაგრძო, რომელიც 1988 წელს წითელ დიპლომზე დაასრულა. 1988-1992 წლებში მეხრიბან ალიევა მოსკოვის თვალის დაავადებების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა, 1995 წელს კი საქველმოქმედო ფონდი — „აზერბაიჯანის კულტურის მეგობრები“ ჩამოაყალიბა. 1996 წელს მეხრიბანი სათავეში სამენოვან კულტურულ-ისტორიულ ჟურნალს — „აზერბაიჯანის მემკვიდრეობა“ ჩაუდგა.

2002 წელს მეხრიბან ალიევა აზერბაიჯანის ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. აზერბაიჯანის პირველმა ლედიმ, ჰეიდარ ალიევის იდეოლოგიური მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნების მიზნით, 2004 წელს „ჰეიდარ ალიევის ფონდი“ ჩამოაყალიბა... 2005 წელს ალიევის ცოლი „წლის ქალად“ აღიარეს. სხვათა შორის, მეხრიბანი პირველი ქალია, რომელსაც საქველმოქმედო ფონდმა — „ასწლეულის მეცენატები“ ორდენი „ლალის ჯვარი“ მიანიჭა.

2004 წელს მეხრიბან ალიევა პოლიტიკაში ჩაება და „ახალი აზერბაიჯანის“, 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კი, მილი მეჯლისის წევრი გახდა. **„აპათიური პრეზიდენტის ცოლი მისგან განსხვავდება. მეხრიბანი ჭკვიანი, ენერგიული, ერუდირებული, გემოვნებიანი და ჯანსაღად ამბიციურია“,** — ასე ახასიათებენ ილჰამის მეორე ნახევარს პოლიტოლოგები, ალიევი კი, როგორც ამბობენ, ცოლის ყველა კაპრიზს უსიტყვოდ ასრულებს. ამბობენ იმასაც, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მეუღლის მითითებით იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ილჰამის „მთავარი სისუსტე“ ქალებია და ამის გამო, მას „ფლეიბოისაც“ ეძახიან, ცოლ-ქმარს ეჭვიანობის ნიადაგზე არასოდეს უჩხუბია. ალიევებს სამი შვილი ჰყავთ — ლეილა, არზუ და პაპის მოსახელე — ჰეიდარი.

**„ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც წარმომედგინა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვარ იმ ადამიანების შვილი, რომლებიც ხალხს დღემდე უყვარს, ვარ აზერბაიჯანის პრეზიდენტი, მყავს ულამაზესი და უჭკვიანესი ცოლი და სამი შვილი... ჩემი ბავშვობის ყველა ოცნება ახდა!“** — ამბობს ალიევი-უმცროსი, რომელსაც ყოველ ღამით, საკუთარ თავთან მარტო დარჩენილს, თურმე, ის პატარა ილჰამი ახსენდება, ფანჯრიდან ცას წამოწოლილი რომ გაჰყურებდა და გენერლობაზე ოცნებობდა...

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 5 | | | 9 | | |
| | 1 | 9 | 2 | | | | | 3 |
| | | 3 | | | 8 | | | 1 |
| | | 8 | | | | | | |
| 4 | | | 9 | 1 | 3 | | | 7 |
| | | | | | | 3 | | |
| 7 | | | 4 | | | 5 | | |
| 6 | | | | | 2 | 1 | 4 | |
| | | 4 | | | 6 | | 9 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | | | | 1 | |
| | | | 9 | | 5 | | 7 | 3 |
| | | 7 | | | 1 | 5 | 8 | |
| | | | 2 | | | 8 | | |
| | 6 | | | 1 | | | 4 | |
| | | 2 | | | 6 | | | |
| | 2 | 6 | 5 | | | 7 | | |
| 8 | 1 | | 6 | | 3 | | | |
| | 9 | | | | | | | 8 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 9 | | 6 | | 7 | |
| | | | 7 | | | 9 | | 6 |
| | | | | | | | 1 | 8 |
| 5 | 3 | | | | | 2 | | |
| 6 | | | | | | | | 9 |
| | | 8 | | | | | 5 | 4 |
| 3 | 6 | | | | | | | |
| 8 | | 1 | | | 7 | | | |
| | 2 | | 8 | | 5 | | 4 | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 4 | 1 |
| | | | 9 | | | 2 | | |
| | 3 | | 1 | 7 | | | | 8 |
| | 7 | | 5 | | | 3 | | |
| | | 3 | | 1 | | 9 | | |
| | | 9 | | | 4 | | 8 | |
| 3 | | | | 8 | 6 | | 7 | |
| | | 4 | | | 2 | | | |
| 7 | 2 | | | | | | | |



1. რუსეთის დედაქალაქი
2. განდევნა, გაძევება
3. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
4. ქარიბდას მეწყვილე ურჩხული
5. ბულგარელი ნათელმხილველი
6. ბავშვის მოსანათლავი ჭურჭელი
7. ქეთევანის გვარი „მონანიებაში"
8. ქართული მითოლოგიის ღვთაება
9. დარტანიანის სატრფოს სახელი
10. ჰავაელთა მინი-გიტარა
11. ჯუზეპე ვერდის ოპერა
12. რკინის და ნიკელის შენადნობი
13. ფეხბურთის კარში გატანილი ბურთი
14. ხარების ბრძოლა ესპანეთში
15. ძველბერძენი ფილოსოფოსი
16. გაზაფხულის ყვავილი
17. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
18. მსახიობი ... პაჩინო
19. ბუნებრივი აირის ძირითადი კომპონენტი
20. ინგლისური სქელი ლუდი
21. კანადის ოლიმპიური ქალაქი
22. მუქი ლურჯი საღებავი
23. იტალიელი დრამატურგი
24. ვიოლინოს მსგავსი საკრავი
25. საქართველოს პატრიარქის სახელი
26. კავკასიის მთიელთა სოფელი
27. პატიმრის დასასჯელი ოთახი
28. ზევსის რომაელი „კოლეგა"
29. ზღვის ქაფიდან შობილი ქალღმერთი
30. დიონისეს მეგობარი, რომ-ლის თავზეც მეფემ ძუით ხმალი დაკიდა
31. იაპონიის იმპერატორთა ტიტული
32. აეროპორტი ჰელსინკში
33. ყირგიზ. დედაქალაქის საბჭოური სახელი
34. ყურანის ცალკეული თავი
35. ქორის მსგავსი მტაცებელი ფრინველი
36. რომაელი მხედართმთავარი
37. დახრილი კოშკით ცნობილი ქალაქი
38. პლან. ვენერას ძველქართ. სახელი
39. ინგლის. მომღერალი ქალი
40. ბიბლიური პერსონაჟი, აბრა-ამის ძმისწული
41. სახოტბო ლექსი
42. იგივეა, რაც გაზი
43. მცენარეული თხევადი ცხიმი
44. ძაღლის ჯიში
45. რუსი პოეტი
46. თოვლის კაცი
47. კოლხეთის ანტიკური სახელწოდ.
48. მთავარი დასაყრდენი, ბურჯი
49. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
50. საქონლის წონა ჭურჭლიანად, შეფუთვიანად
51. უკრაინ. პარლამენტი
52. ... აზიმოვი
53. საქართველო-რუსულად
54. პატარა გამოქვაბული კლდეში
55. იაპონიის საერთაშ. აეროპორტი
56. აღმოსავლ. ხემიანი საკრავი
57. ჩინური საბრძოლო ხელოვნება
58. „ხელის ჭუჭყი"
59. ძალიან იშვიათი ნივთი
60. ინგლ. გიტარისტი კრის ...
61. დათა თუთაშხიას და
62. თვალის ფერადი გარსი
63. რუსული ავტომარკა
64. მთა გარე კახეთში

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 7 | 8 | 4 | 6 | 3 | 2 | 9 |
| 9 | 4 | 3 | 2 | 5 | 1 | 7 | 6 | 8 |
| 2 | 6 | 8 | 9 | 3 | 7 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 3 | 9 | 4 | 2 | 5 | 8 | 7 | 6 |
| 6 | 8 | 5 | 7 | 1 | 9 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 8 | 3 | 5 | 9 | 1 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 9 | 2 | 6 | 8 | 7 |
| 8 | 2 | 6 | 3 | 7 | 4 | 9 | 1 | 5 |
| 7 | 9 | 1 | 5 | 6 | 8 | 2 | 4 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 6 | 9 | 8 | 5 | 4 | 1 | 3 |
| 1 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 7 | 6 |
| 4 | 3 | 9 | 7 | 6 | 1 | 2 | 8 | 5 |
| 3 | 9 | 8 | 6 | 5 | 7 | 1 | 4 | 2 |
| 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 |
| 6 | 1 | 7 | 2 | 4 | 8 | 5 | 3 | 9 |
| 2 | 7 | 4 | 1 | 9 | 3 | 6 | 5 | 8 |
| 8 | 6 | 3 | 5 | 2 | 4 | 7 | 9 | 1 |
| 9 | 5 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 2 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 3 | 2 | 8 | 1 | 9 | 7 | 6 | 4 |
| 1 | 4 | 6 | 7 | 5 | 3 | 2 | 8 | 9 |
| 9 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 8 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 | 2 |
| 4 | 7 | 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 6 |
| 2 | 1 | 9 | 5 | 7 | 6 | 8 | 4 | 3 |
| 3 | 5 | 4 | 2 | 9 | 8 | 6 | 1 | 7 |
| 7 | 2 | 1 | 3 | 6 | 5 | 4 | 9 | 8 |
| 6 | 9 | 8 | 1 | 4 | 7 | 3 | 2 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 3 | 6 | 7 | 2 | 9 | 5 | 4 | 8 | 1 |
| 4 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 1 | 2 | 6 | 4 | 7 | 9 | 3 | 5 | 8 |
| 8 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 4 | 7 |
| 7 | 5 | 4 | 8 | 3 | 1 | 6 | 2 | 9 |
| 9 | 7 | 2 | 5 | 1 | 4 | 8 | 6 | 3 |
| 6 | 4 | 1 | 3 | 2 | 8 | 7 | 9 | 5 |
| 5 | 3 | 8 | 9 | 6 | 7 | 2 | 1 | 4 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 9 | 4 | 3 | 1 | 6 |
| 1 | 6 | 9 | 8 | 7 | 3 | 5 | 4 | 2 |
| 7 | 5 | 2 | 6 | 4 | 9 | 1 | 3 | 8 |
| 6 | 3 | 1 | 7 | 8 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 4 | 9 | 8 | 1 | 3 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 1 | 6 | 4 | 5 | 8 | 2 | 7 | 3 |
| 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 4 |
| 3 | 7 | 4 | 9 | 2 | 6 | 8 | 5 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 8 | 5 | 3 | 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 6 | 8 | 7 | 5 | 4 | 3 |
| 7 | 4 | 8 | 3 | 9 | 6 | 2 | 1 | 5 |
| 1 | 9 | 2 | 8 | 7 | 5 | 6 | 3 | 4 |
| 3 | 6 | 5 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 1 | 7 | 2 | 4 | 3 | 5 | 6 |
| 5 | 3 | 7 | 9 | 6 | 8 | 4 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 6 | 1 | 5 | 3 | 8 | 7 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 3 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 4 | 9 | 6 | 5 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 2 | 1 | 5 | 9 | 8 |
| 5 | 1 | 6 | 9 | 4 | 8 | 7 | 3 | 2 |
| 2 | 8 | 9 | 7 | 5 | 3 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 7 | 8 | 1 | 3 | 6 | 2 | 5 | 9 |
| 1 | 3 | 2 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 6 |
| 9 | 6 | 5 | 4 | 8 | 2 | 1 | 7 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 6 | 9 | 8 | 5 | 2 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 5 | 2 | 4 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 2 | 9 | 8 | 1 | 3 | 6 | 5 | 7 | 4 |
| 5 | 2 | 9 | 7 | 1 | 8 | 4 | 6 | 3 |
| 8 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 1 | 2 | 9 |
| 6 | 1 | 3 | 4 | 2 | 9 | 7 | 5 | 8 |
| 3 | 8 | 2 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 4 | 6 | 1 | 3 | 7 | 2 | 8 | 9 | 5 |
| 9 | 5 | 7 | 8 | 6 | 4 | 3 | 1 | 2 |

მე-13 გვერდი: 1. აბორტი; 2. ბადიში; 3. რენკლოდი; 4. რწყილი; 5. წიწიბურა; 6. იდალგო; 7. ოდენსე; 8. ანურია; 9. ვიენტიანი; 10. მწვადი; 11. ეთერი; 12. ბაგები; 13. შალვა; 14. არესი; 15. უთო; 16. თვე; 17. უდე; 18. იონია; 19. იმუნიტეტი; 20. აბრისი; 21. იფანი; 22. ფრე; 23. მარინა; 24. ზორგე; 25. ოლე; 26. ფელინოლოგია; 27. ნობელი; 28. ფლობერი; 29. კვირა; 30. „ემი"; 31. აზია; 32. ალუბალი; 33. იგი; 34. მონტგომერი; 35. მუხუდო; 36. მუმია; 37. კვერნა; 38. ველინგტონია; 39. ალი; 40. ალაო; 41. „ალავესი"; 42. ხატა; 43. ერგი; 44. ალა; 45. ანალები; 46. ელიბო; 47. ლიე; 48. სრა; 49. ულანი; 50. ლემა; 51. დეტალი; 52. სკაროსი; 53. რელე; 54. პიტ; 55. ტირე; 56. „სუბარუ"; 57. აარონი; 58. ავიზო; 59. გალავანი; 60. გოდორი; 61. ეშერა; 62. ეგერი; 63. ნალი; 64. ვოკი; 65. ადანი; 66. დანაე; 67. შალე; 68. სტოა; 69. ნირო; 70. კეა; 71. „სახე"; 72. ხოზე; 73. გოა; 74. რაია; 75. მარენგო; 76. მენორა; 77. გივი; 78. ინგირი; 79. კროსი; 80. სიდრი; 81. ლევ; 82. ელე; 83. დიფუზია; 84. ჟურნალი; 85. ალფა; 86. ნოე; 87. ილიონი.



# ჰოროსკოპი
## 16 ოქტომბერი

**ვერძი** — ეცადეთ, ნაკლებად პრეტენზიული იყოთ გარშემომყოფების მიმართ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

**კურო** — დღე პოზიტიურია, თუ, რა თქმა უნდა, არსებული რეალობის ადეკვატურად იმოქმედებთ და ბოლომდე იბრძოლებთ დასახული მიზნის მისაღწევად.

**ტყუპები** — საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე უნდა იზრუნოთ, მით უმეტეს, არის რისკი, მსხვილი თანხა დაკარგოთ. დღის მეორე ნახევარში პოზიტიური ფონი მატულობს და განწყობაც შედარებით გამოგიკეთდებათ.

**კირჩხიბი** — საინტერესო ღონისძიებაზე დაგპატიჟებენ, სადაც წარმოუდგენელი წარმატება გელით, ამიტომ უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე. იქ ნახავთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

**ლომი** — ფინანსური პრობლემები ნელ-ნელა გვარდება. გელით საქმიანი შეხვედრა ბიზნესპარტნიორებთან, რომლებიც სასიამოვნო შეთავაზებით გაგაოცებენ, თუმცა ხელშეკრულების გაფორმებამდე, კონსულტაცია კომპეტენტურ პირებთან გაიარეთ.

**ქალწული** — მნიშვნელოვანი ამოცანის გასაღების შერჩევა ზოგჯერ ძალიან რთულია, მაგრამ დღეს შესანიშნავად გაართმევთ თავს ამ პრობლემას. მხოლოდ ინტელექტისა და ინტუიციის იმედად არ უნდა იყოთ — ახლობელი ადამიანის რჩევა აუცილებლად გაითვალისწინეთ.

**სასწორი** — დღეს წონასწორობას ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ დაგაკარგვინებთ. რაც უნდა გიბიძგონ კონფლიქტისკენ და გაიძულონ, არაადეკვატურად მოიქცეთ — საკუთარ ემოციებს მაინც მკაცრად გააკონტროლებთ.

**ღრიანკალი** — „დროში მოგზაურობა“ გელით და მოგონებების ტალღა საკმაოდ შორეულ წარსულში გაგიტაცებთ. კარგი დღეა საქმიანი მგზავრობისთვის, ოღონდ წარმატების მისაღწევად მეტი მოქმედება და ნაკლები საუბარი მოგიწევთ.

**მშვილდოსანი** — ვითარებას ისე შემოაბრუნებთ, წარმატება თვითონ ჩაგივარდებათ ხელში, თუმცა ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ ზედმეტად არ გაჯიუტდებით.

**თხის რქა** — თქვენი ოცნებები მალე ასრულდება. დადგა დრო, საკუთარი შრომის ნაყოფი მოიწიოთ, მაგრამ ნუ ეცდებით ყველაფრის ერთდროულად მიღებას. საღამოს შეგიძლიათ დრო მეგობრების კამპანიაში გაატაროთ.

**მერწყული** — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს შინაური საქმეებით დაკავდეთ. მხიარული ღონისძიებები კი უფრო შესაფერისი დროისთვის გადადეთ. ფინანსურ ოპერაციებში წარმატება გელით — იყავით უფრო თავდაჯერებული.

**თევზები** — მოულოდნელად მიღებული ცნობა ცოტას გაგანერვიულებთ, მაგრამ ეს მღელვარება დროებითი იქნება, რადგან თქვენთვის ახალი, მომხიბლავი პერსპექტივები იშლება, რაც ცხოვრებას კარდინალურად შეცვლის.





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ


# გველის შხამს იმუნიტეტის გასაძლიერებლად იყენებს



ამერიკელი უმუშევარი ტიმ ფრიდი დარწმუნებულია, რომ „რაც არ კლავს ადამიანს, ის მას უფრო ძლიერს ხდის“ და ამის დასამტკიცებლად ტიმი ყოველდღე თავს შხამიან გველებს აკბენინებს. ტიმის ასეთი ასამდე ნაკბენი აქვს, რის შემდეგაც თავს შეუძლოდ მხოლოდ რამდენიმე წუთით გრძნობს — თავბრუ ეხვევა და ზოგჯერ გონებასაც კარგავს, მაგრამ მოგვიანებით ენერგიის მოზღვავებას გრძნობს. თუმცა 2001 წელს, როდესაც გადაწყვიტა, ორ კობრას ერთდროულად ეკბინა, ლამის მოკვდა — მედიკოსები კი გაოცებულები დარჩნენ, როცა ნახეს, რომ ტიმი მხოლოდ რამდენიმე საათით იყო პარალიზებული.

# ისრაელის პოლიციაში თაგვები იმსახურებენ

ებრაული პოლიცია უცნაურ ექსპერიმენტს იწყებს, რომელიც პოლიციის მაძებარი ძაღლების თაგვებით ჩანაცვლებას გულისხმობს. ოთხფეხა მეგობრების ნაცვლად, სამართალდამცავები ნარკოტიკზე მღრღნელებს „დაგეშავენ“, თაგვების ამ მიზნით გამოყენების იდეა კი სამართალდამცავებს კომპანია Bio Explorers-მა მიაწოდა — მათ მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თაგვებს ყნოსვის სისტემა, ძაღლებთან შედარებით, გაცილებით განვითარებული აქვთ, პოლიციას კი ისღა დარჩენია გაარკვიოს — შეიძლება თუ არა მღრღნელის ისე გაწვრთნა, რომ ნარკოტიკის ადგილსამყოფელს მიაგნოს. ადგილობრივი მედიის ცნობით, უნიკალური ექსპერიმენტი 5 თვეს გაგრძელდება და დადებითი შედეგების შემთხვევაში, პოლიციის შტატებს თაგვები „შეავსებენ“.





# ჰოროსკოპი
## 17 ოქტომბერი

**ვერძი** — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ, მხოლოდ საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნეთ სხვა საქმეებისგან და ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ.

**კურო** — შესაფერისი დღეა საკუთარ თავზე სამუშაოდ, მით უმეტეს, თუ მუსიკით, ხელოვნებით დაკავდებით, მოდის სიახლეებითა და ხალხური ტრადიციებით დაინტერესდებით. საკუთარი ძალები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობებს მაქსიმალურად აარიდეთ თავი.

**ტყუპები** — დღის განმავლობაში რთული საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯი, სამაგიეროდ, სამსახურში იზრდება თქვენი ავტორიტეტი.

**კირჩხიბი** — კარგი დღეა, პერსპექტიული და საინტერესო საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ, ენდოთ თქვენს დამხმარეებსა და პარტნიორებს: ისინი საკუთარ თავზე აიღებენ ყველაზე მოსაწყენ და რთულ საკითხებს, თქვენგან კი მხოლოდ შემოქმედებითი აზროვნებაა საჭირო.

**ლომი** — განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, რაც თქვენს სასიკეთოდ უნდა გამოიყენოთ. ბოლო პერიოდში ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს შეიტანს პირად ურთიერთობებში. გაითვალისწინეთ, რომ დღეს თქვენი დახმარება ყველაზე მეტად, ოჯახის წევრებს სჭირდებათ.

**ქალწული** — საკმაოდ წარმატებული დღეა — სწორად ახერხებთ არსებული რესურსების — ფინანსების, დროის, საკუთარი ენერგიის განაწილებას და ამიტომ ყველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ, მაგრამ მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან კი თავი შეიკავეთ.

**სასწორი** — სასწორებს ვარსკვლავები ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ ახალ ნაცნობებთან: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. გელით ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი.

**ღრიანკალი** — დროა, გარდერობის განახლებასა და ბინის ახლებურად მოწყობაზე იზრუნოთ. თქვენთვის მნიშვნელოვანია კომფორტი და სიმყუდროვე, მის გარეშე ძალებს ვერ აღიდგენთ, არადა სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს.

**მშვილდოსანი** — ძნელი არ იქნება ურთიერთობის დაბალანსება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა, საამისოდ არანაირი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ. საქმე თქვენგან მაქსიმალურ რისკს მოითხოვს, თუმცა ყველაფერი გამოგივათ.

**თხის რქა** — შეგიძლიათ, ყურადღება არ მიაქციოთ მოღუშულ და მკაცრ სახეებს თქვენს ირგვლივ. არაა გამორიცხული, სწორედ დღეს შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს და მასთან ურთიერთობა გააგრძელოთ. სამსახურში კი არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას საბოლოოდ დაესმება წერტილი.

**მერწყული** — ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება, თუკი ბოლომდე დაიხარჯებით, თქვენი პროფესიონალიზმი და მომხიბვლელობა საკუთარ წვლილს შეიტანს. კარგი დღეა ბიზნესპარტნიორების მოსაძებნად და გადადებული საქმეების დასასრულებლად.

**თევზები** — შესაძლოა, გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომლებიც მოისურვებენ, ხელი შეგიშალონ ახალი იდეების განხორციელებაში, თუმცა თქვენი ჯანსაღი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკებების წარმოების უნარი, ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან გამოგიყვანთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 4 | | | 5 | 2 | |
| | | 7 | 8 | | | | 3 | |
| 6 | 4 | | | | | | 9 | 7 |
| | 3 | | 9 | | 2 | | 6 | |
| | | | | 5 | | | | |
| | 5 | | 1 | | 6 | | 4 | |
| 9 | 2 | | | | | | 7 | 4 |
| | 1 | | | | 3 | 2 | | |
| | 7 | 3 | | | 9 | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 9 | 7 | | | | |
| | 1 | | | | 5 | | | 3 |
| 8 | | | | 3 | 2 | 5 | | |
| | | 8 | | 4 | | | | |
| 6 | 5 | | | | | | 9 | 8 |
| | | | | 9 | | 6 | | |
| | | 7 | 8 | 6 | | | | 4 |
| 1 | | | 3 | | | | 5 | |
| | | | | 5 | 4 | | | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | 9 | | | | 8 | |
| | | 2 | | 8 | 7 | | | |
| | 8 | | | 6 | | 5 | | |
| | 1 | 4 | | | | | | |
| | 5 | | 1 | | 8 | | 7 | |
| | | | | | | 2 | 5 | |
| | | 1 | | 9 | | | 3 | |
| | | | 6 | 5 | | 1 | | |
| | 9 | | | | 1 | 4 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | 6 | | 7 | | | 9 |
| 8 | 2 | | | 5 | | 6 | | |
| | | | | | | 8 | 5 | |
| 6 | | | | | 5 | | | |
| | | | 4 | 1 | 9 | | | |
| | | | 2 | | | | | 5 |
| | 1 | 5 | | | | | | |
| | | 8 | | 3 | | | 9 | 2 |
| 9 | | | 5 | | 2 | | | 7 |



## პლანეტის ყველაზე ლამაზი ქალი დაასახელეს

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა პოპულარულმა ჟურნალმა Esquire უკვე მეორედ დაასახელა სკარლეტ იოჰანსონი პლანეტის ყველაზე მიმზიდველ მანდილოსნად. გამოცემა ყოველ წელს აქვეყნებს საკუთარ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მიიჩნევენ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ყველაზე სექსუალურ ვარსკვლავად. წელს ჟურნალის გარეკანზე, რომელიც ყველაზე მომხიბვლელ და მიმზიდველ ქალს ამხელდა, კვლავ 28 წლის მსახიობი აღმოჩნდა. ვუდი ალენის მუზა ერთადერთია, ვისაც გამოცემამ ყველაზე სექსუალური ქალის ტიტული ორჯერ არგუნა. Esquire-თან ინტერვიუში მსახიობმა, გარდა მადლობისა, შეშფოთებაც გამოთქვა — 28 წლის ვარ და ალბათ, მალე დედის როლს შემომთავაზებენო. გასული წლის მსგავსი რეიტინგის ლიდერი მილა კუნისი იყო, სხვა წლებში კი სიას რიანა, ჰოლი ბერი და ქეით ბეკინსეილი ლიდერობდნენ.

## ართრიტს პრეზერვატივებით მკურნალობენ

სამხრეთ აფრიკის ხანდაზმული მაცხოვრებლები უარს ამბობენ ექიმების მიერ გამოწერილ პრეპარატებზე და მათ პრეზერვატივებით ანაცვლებენ, რადგან ჰგონიათ, რომ საცხი, რომელიც ლატექსის პრეზერვატივებში გამოიყენება, ართრიტის მწვავე ტკივილს დაუამებს. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, მოხუცები სახსრებზე ამ საცხს ისვამენ და ამტკიცებენ, რომ ტკივილი მომენტალურად უამდებათ. მედიკოსები კი კატეგორიულად არ ეთანხმებიან მათ და აღნიშნავენ, რომ ეს საცხი ტკივილს არ აყუჩებს.






## „ვინ არის შენი მამიკო?“

აშშ-ს უდიდესი მეგაპოლისის ქუჩებში სატვირთო მანქანა დადის, რომელსაც აწერია „ვინ არის შენი მამიკო“. ამ მოსიარულე დაწესებულების წყალობით, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, პირდაპირ მანქანაში ჩაიტარონ ტესტი და გაარკვიონ, ნამდვილად არიან თუ არა იმ პატარების მამები, რომელთაც პარკში ასეირნებენ. ამისთვის 575 დოლარის გაღება მოუწევთ, პასუხს კი ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებენ. დრამაა, როცა ხედავ, მზრუნველი მამა როგორ ასეირნებს პარკში პატარას და სინამდვილეში, მშობელი სულ სხვაა. არასოდეს დამავიწყდება შემთხვევა, როცა ჩვენთან მოვიდა მამაკაცი, ტესტის გაკეთება გვთხოვა და აღმოჩნდა, რომ ბავშვის მამა სხვა იყო, — იხსენებს „ვინ არის შენი მამიკოს“ თანამშრომელი.

## პარიზელები „ღამის“ მერს აირჩევენ

მალე საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებნი ღამის მერის არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ვალდებული იქნება, ყველანაირ ღამისთევასთან დაკავშირებული პრობლემები მოაგვაროს. არჩევნების ინიციატორების მოსაზრებით, ბოლო დროს გახშირდა კონფლიქტები დაძინების მსურველთა და მათ შორის, ვინც ღამით გართობასაა ჩვეული. მომავალმა მერმა სწორედ ეს კონფლიქტები უნდა მოაგვაროს და მათი თავიდან აცილება შეძლოს. „ღამის“ მერობის კანდიდატების რეგისტრაცია თითქმის მთელი თვე მიმდინარეობდა ინტერნეტ-სივრცეში, მიმდინარე თვის ბოლოს კი უკვე ხმის მიცემის პირველი ტურიც ჩატარდება, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ პარიზელს შეეძლება, ვინც Facebook-ის სპეციალურ გვერდზე დარეგისტრირდება. აღსანიშნავია, რომ „ღამის მერის“ პირველი არჩევნები 10 წლის წინ ამსტერდამში ჩატარდა, წელს კი მსგავსი ღონისძიება არა მხოლოდ პარიზში, არამედ საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც — ნანტში, ლილსა და ტულუზაშიც გაიმართება.



## ნიუ იორკში ალკოჰოლურ ბუტერბროდებს ყიდიან



ცოტა ხნის წინ ნიუ იორკის ერთ-ერთ მაღაზიაში გასაყიდად გამოიტანეს ალკოჰოლური ბუტერბროდები. Salumé panini კლიენტებს მსოფლიოში პირველი სენდვიჩების დიდ ასორტიმენტს სთავაზობს, სხვადასხვა სახის ტკბილი ნაყენის, ლიქიორის, სკოტჩისა და ჯინის შიგთავსით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი დაწესებულება, ჯერჯერობით, მხოლოდ ეგზოტიკად რჩება. შესაძლოა, ვილაცას მოეწონოს კიდეც ერთდროულად ჭამა და თრობა, მაგრამ ალკოჰოლის მოყვარულები ტრადიციას ასე ადვილად ვერ დათმობენ, მით უმეტეს, უცნობია, ბუტერბროდებში რა რაოდენობის ალკოჰოლია გამოყენებული.

# პირველი „ფეშენ მარკეტერების“ მოლოდინში

გიორგი პირველი

ბუმმა მოდაზე საქართველოში გადაიარა... თუმცა ვისთვის როგორ და ვინ იცის, მომგებიანია თუ არა ეს ყველაფერი. ბუმი იყო მოდის კვირეულების კასკადი, რამაც ორი წლის განმავლობაში სრულიად საინფორმაციო სივრცე აითვისა, მაგრამ ისე ჩაკვდა, არც არავის დანანებია, თუმცა ეს დეფიციტური სინანულიც ერთგვარი გამოვლინებაა სოციალური ბოლმისა. ღონისძიებების მსვლელობისას ყველა — მოწვეული თუ დაუპატიჟებელი — გამწარებული შესასვლელში ეტენებოდა, გამოსულებს კი არასოდეს უთქვამთ, რამხელა მნიშვნელობა ჰქონდა მსგავს „წვეულებას“ სფეროსთვის, ეკონომიკისა და სახელმწიფოსთვის.



მოდა — ეს ის სამყაროა, რომელიც იოლად და ხშირად უხეშად (კარგი გაგებით) ერევა ევროპულ თუ ამერიკულ პოლიტიკაში. თუ არა — ტონი ბლერს არ დაასაქმებდნენ აქ; ეს ის სფეროა, რომლისაც პლანეტის აქამდე დომინანტ ინდუსტრიებს ეშინიათ უკვე, რადგან ის მოედო სასტუმრო, სატრანსპორტო და მედიასეგმენტებს. ეს ის სოციუმია, რომელმაც ადამიანის ფსიქოლოგია შეცვალა და ჩამოაყალიბა ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა „ბრენდ-დამოკიდებული“, „შოფო-გოლიკი“ და სხვა. ეს სახუმარო სიტყვები არაა, რადგან მათ უკვე ლამის ცვლადებად განიხილავენ სამეცნიერო პუბლიკაციებში.



საქართველოში სფერო იმ დინებას მიჰყვებოდა, რასაც კომუნიზმი კარნახობდა, მაგრამ თავისუფლების წყურვილმა და გახსნილმა ინფორმაციულმა წყაროებმა 90-იანებში შვა მართლაც პერსპექტიული ინიციატივები: „ამა“, „სილუეტი“ და სხვა. მერე იყო პაუზა... მერე გაჩნდა ქართული სამოდელო სახლები, მაგრამ ინდუსტრია ვერ განვითარდა, რადგან დიდებულ კოკოს თუ დავესესხებით „მოდა, სილამაზეა, სილამაზეს კი ფული სჭირდება“...

ფული ამ ქვეყანაში არ არის. ყოველ შემთხვევაში იმდენი, რომ არმანის იაფი ქვედა ხაზი მაინც ითვლებოდეს მასის ყოველდღიურ სამოსად. ასეთ დროს, მუშაობს ნელა შენების პრინციპი. ერთი შეხედვით, ეს დაიწყო კიდეც, თუმცა მეორეა, რამდენად ხარისხიანად და პროფესიონალურად.




დიორის ლექსიკონი და ლუქს სტრატეგიები ერთ პროგრამაში

რომ გადახედო სამხატვრო აკადემიაში ამ მიმართულების სწავლების ისტორიას, შთაბეჭდილება რჩება, რომ კათედრა ერთი დიდი ფრონტია, რომელსაც სჭირდება გაუთავებელი ბრძოლა, რათა ის მაინც იქნას შენარჩუნებული, რაც აქამდე არსებობდა. ვინაიდან მათი შრომა გმირობის ტოლფასიც არის, ვერავინ მოითხოვს პასუხს იმაზე, რატომ არის მოდის ინდუსტრიის საქმიანობის სწავლება ჩვენში არასრულყოფილი.



ამ სფეროს ლიდერ ქვეყნებში — საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისსა თუ შტატებში მოდა არ არის მხოლოდ ესკიზების ხატვა და მათგან თარგების ფორმირება. ეს მხოლოდ ერთი ეტაპია, რომელმაც მაქსიმუმ 50% შეიძლება დაიკავოს, დანარჩენი და მეტი მოდის მარკეტინგსა და ბრენდინგზე მოდის. თან რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — არსებობს მარკეტინგი და თან არსებობს მოდის მარკეტინგი. ეს არ არის აკადემიური სამეცნიერო მიმართულება, თუმცა გამოყენებითი სამეცნიერო მიმართულებაა, როგორც ეს, მეტ წილად, ევროპელებს სჩვევიათ ყველა სხვა ინდუსტრიაშიც.

შესაბამისად, თუკი საქართველოში ამ სფეროს ნატამალი მაინც არსებობს, ჩნდება კითხვა — საიდან ცოდნა? ამ კითხვაზე პასუხი იმდენად მარტივია, როგორც სამოდელო სახლების გადალაგება საერთო დაფაზე. სრული ინდუსტრიული წესის დაცვით, საქართველოში იმდენი ნიშანი არსებობს, რომ ჩამოთვლი, ერთ ხელსაც ვერ „დაასაქმებ“. ამ უნიკალურ ერთეულებს კი ან განათლება აქვთ მიღებული ქვეყნის გარეთ, ან დაქირავებული ჰყავთ ისეთები, ვინც პირველ პირობას აკმაყოფილებენ. არის კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ქართველი პროფესიონალები ასეთებად ყალიბდებიან უცხოური ბრენდების შემოსვლით — ბრენდის განვითარების ხელმძღვანელებად, ადგილობრივ წარმომადგენლებად, მაღაზიის მენეჯერებად და ა.შ.

ფაქტია, დღეს ამ სფეროს ბევრი შეუძლია, რადგან სრულად ადამიანის ნიჭზეა დამოკიდებული (როგორც მოდა, ისე მისი მარკეტინგი), მაგრამ საბაზისო ცოდნის გარეშე მუდამ ის იქნება, რაც გვაქვს. არცთუ დიდი ხნის წინ, სოციალურ ქსელებში გაჩნდა ახალი სასაუბრო თემა — „მოდის მარკეტინგის სასერტიფიკატო კურსი“. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რასთან გვაქვს საქმე და დაადგინა, რომ საუბარი ეხება „კაპ ბიზნეს ლაბორატორიის“ მიერ შემოთავაზებულ რამდენიმეთვიან ტრეინინგ-კურსს სპეციფიკური პროგრამით.

პროგრამა 11 მოდულისგან შედგება და სრულად მოდის მარკეტინგს ეძღვნება — იდეის განვითარებიდან, ბრენდის ინტერნაციონალიზაციამდე. როგორც კურსის კოორდინატორი ოთარ ქირია ამბობს, სილაბუსი მთლიანად მომართულია ამ სახის პროდუქტის მარკეტინგზე, ბრენდინგზე, შეფუთვასა და გაყიდვაზე — სწორედ იმაზე, რაც აკლია ქართულ სამოდელო სახლებსა და სავაჭრო ნიშნებს.

სტრუქტურულად კურსი ორ ნაწილადაა გაყოფილი — თეორიული და პრაქტიკული.



თეორიულ ნაწილს უძღვება ნინო იოსელიანი — ალბათ, ერთადერთი ქართველი თბილისში, რომელსაც მაგისტრის ხარისხი მოდის მარკეტინგში საფრანგეთსა და ესპანეთში აქვს მიღებული და იქვე წლების გამოცდილებას ითვლის. პრაქტიკულ ნაწილს კი ინდუსტრიის სუბკატეგორიების მიხედვით ინაწილებენ ქართველი და უცხოელი პრაქტიკოსები.

„ისი პარის“ პიარისა და მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხატია შამუგია პარფიუმერიის ლუქს და მას ბრენდების საკომუნიკაციო სტრატეგიებს განიხილავს. „სვაროვსკის“, „ჰელოუ კიტისა“ და „ვილეორი ბოხის“ წარმომადგენელი საქართველოში ნათია ფოფხაძე — აქსესუარებისა და საბავშვო მოდის მიმართულებებში მიღებულ გამოცდილებას გადასცემს მსმენელს. აშრაფ პატელი — ინდიტექსის ბრენდების (ზარა, ბერშკა, მასიმო დუტი და ა.შ.) გლობალურ სავაჭრო სტრატეგიებზე გაამახვილებს ყურადღებას. ულვია ზეინჰალოვა კი, როგორც ბრიტანული „მაზერქეარის” რეგიონული წარმომადგენელი კავკასიაში — მერჩენდაიზინგისა და ბრენდების შესყიდვების ტაქტიკაზე ისაუბრებს. ამ ყველაფერს ემატება ვორქშოფი, რომელსაც სამოდელო სახლ „ავთანდილის“ დირექტორი ზურაბ მგალობლიშვილი გაუძღვება. აქვეა პრაქტიკული უნარების ნაწილიც, სადაც პრეზენტატორის უნარებზე ფსიქოლოგი ეკატერინე ფუტკარაძე გაუძღვება საათებს. დარა აჰმედი კი — საოპერაციო მართვის მექანიზმებზე წაიკითხავს ლექციებს. პროგრამას ახლავს სიურპრიზებიც, რის გახმიანებასაც ავტორები პარასკევისთვის აპირებენ — ღია კარის დღეზე.

პროგრამის კოორდინატორების ცნობით, ამ ეტაპისთვის ჯგუფში რამდენიმე კატეგორიის მონაწილეა დარეგისტრირებული — ლიდერები უცხოური ბრენდების ქსელებიდან, სტუდენტები სამხატვრო აკადემიიდან და



ქართული სამოდელო სახლების წარმომადგენლები. **„ასევე ძალიან სასიამოვნოა, რომ სურვილი გამოთქვა რამდენიმე ჟურნალისტმაც. ეს ძალიან კარგია, რადგან ამ სფეროში კრიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ასეთები ნაკლებადაა. შესაბამისად, ამ კურსის შემდეგ იარსებებს რამდენიმე ისეთი ავტორი, რომელიც კომპეტენტურად დაწერს სფეროზე“,** — ამბობს ოთარ ქირია.

პროგრამის ავტორები აღნიშნავენ იმასაც, რომ პროგრამის ფარგლებში, დიდია მომავალი დასაქმების შანსებიც. **„მე თავად ვარ მსხვილი დამსაქმებელი ამ სფეროში. კადრებს სულ ვეძებთ და ამდენად, ჩვენი კომპანიისთვის დიდი საქმე იქნება, კონცენტრირებულად მქონდეს ურთიერთობა ხალხთან, რომელიც ასეთ სპეციფიკურ პროგრამას გაივლის“,** — ამბობს ნათია ფოფხაძე. ხატია შამუგიას თქმით კი, **„დიორის ლექსიკონი იქნება ერთ-ერთი, რასაც ყურადღება დაეთმობა და არა იმიტომ, რომ ეს ლამაზად ჟღერს, არამედ იმიტომ, რომ ამ კრებულით სფეროს სიღრმეებიდან გაცნობაა შესაძლებელი“.**



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.